ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: ქართული ლიტერატურა

აბულაძე მზია

მხატვრული სახე-სიმბოლოები ნიკო სამადაშვილის შემოქმედებაში

ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: რუსუდან ნიშნიანიძე, ფილოლოგიის დოქტორი,
თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია

ნიკო სამადაშვილის პოეზია XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში ერთ-ერთ გამორჩეულ და მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. მისი შემოქმედება მრავალპლანიანი, ღრმა შინაარსისა და უამრავი ქვეტექსტის მატარებელია. პოეტი საკუთარი სათქმელის გამოსახატავად მიმართავს წარმართობას, ქრისტიანობას, მითოსს და ეს ყველაფერი ერთმანეთის გვერდით ისე მჭიდროდაა წარმოდგენილი, რომ ხანდახან ლექსის სათქმელის ამოკითხვა ჭირს. სწორედ ორაზროვანი ფრაზებით, სიმბოლოებით, მეტაფორებითა და ალეგორიებით დატვირთული სტრიქონები აქცევენ ნ. სამადაშვილის ხელწერას ორიგინალურად.

ნ. სამადაშვილის პოეზიაში, გარდა თემებისა, მნიშვნელოვანია სახეები. ჩვენი კვლევის მიზანია, წარმოვაჩინოთ ღვთისმშობლისა და მაცხოვრის სახის განსახიერების თავისებურება პოეტის შემოქმედებაში. საკითხი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ იგი სათანადოდ არაა შესწავლილი. გარდა ამისა, ნაშრომში განხილული იქნება ბეთანია, როგორც საკრალური ადგილი. (ნ.სამადაშვილის ლექსის „ბეთანია“-ს მიხედვით.) კვლევის შედეგად გამოიკვეთა აგრეთვე ზარისა და სამრეკლოს სახე-სიმბოლო. ნიკო სამადაშვილისეული აღქმა ძლიერ განსხვავდება აღნიშნულ ენიგმათა ტრადიციული გაგებისაგან.

ბიბლიის წიგნებზე, ქართულ თხზულებებსა და სამეცნიერო მასალაზე დაყრდნობით შევეცადეთ შეძლებისდაგვარად შეგვესწავლა ზემოთ ხსენებული საკითხები. ნაშრომი მოკრძალებული მცდელობაა ნიკო სამადაშვილის პოეზიის ახლებური წაკითხვისა.

სარჩევი

სარჩევი 0

შესავალი 1

თავი I 3

I.I ბეთანია - საკრალური ადგილი ნიკო სამადაშვილის პოეზიაში 6

I.II ზარი და სამრეკლო 14

თავი II 20

ღვთისმშობლის განსახიერების თავისებურებანი ნ. სამადაშვილის პოეზიაში 20

თავი III 28

„საუკუნეებს მაცხოვარი გაჰყვება მეხრედ...“ 28

დასკვნა 40

გამოყენებული ლიტერატურა 42

შესავალი

ნიკო სამადაშვილის შემოქმედება, ლექსები თუ პროზაული ჩანაწერები მცირე მოცულობისაა. საარქივო გამოცემა მხოლოდ ერთ ტომს მოიცავს. მიუხედავად ამისა, პოეტის შემოქმედება თავისი ინდივიდუალობით, სახისმეტყველებითი ასპექტებით ერთ-ერთ გამორჩეულ ადგილს იკავებს XX საუკუნის ქართულ პოეზიაში.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, ნიკო სამადაშვილის პოეზიაში ისეთი სახე-სიმბოლოების განხილვა, რომლებიც მთელ ქართულ მწერლობას თან გასდევს უძველესი პერიოდიდან თანამედროვე ეპოქის ჩათვლით. ღვთისმშობელსა და მაცხოვარს ოდითგანვე ხოტბას ასხამდნენ ქართველი ჰიმნოგრაფები, აღორძინების ეპოქის პოეტები, შემდეგ რომანტიკოსებთანაც ვხვდებით, სამოციანელთა თაობის წარმომადგენლები მათ თავიანთი ქვეყნის მფარველად და ნუგეშად მიიჩნევენ. XX საუკუნის პოეზიამ ტრადიციულისგან განსხვავებული სახით წარმოგვიჩინა მათი სახეები. ნ. სამადაშვილის პოეზიაში ღვთისმშობელი და მაცხოვარი მოკლებულნი არიან ყოველგვარი დიდების შარავანდედს და ჩვეულებრივ, მიწიერ ადამიანებად წარმოგვიდგებიან. გვხდება სტროფები, სადაც ქრისტე არ კარგავს ღვთაებრივ ბუნებას, მაგრამ იგი არაა ნუგეშის მომტანი ლირიკული გმირისთვის. საკითხი დაწვრილებით არაა შესწავლილი ქართულ სამეცნიერო კრიტიკაში, მხოლოდ აქა-იქ თუ გამოკრთება ზურაბ კიკნაძის, თემო ჯაფარიძის და თამაზ ჩხენკელის მოსაზრებებში.

როგორც საღვთისმეტყველო ლიტერატურიდან ირკვევა, საეკლესიო ზარის ფუნქციაა მოუწოდებს გზააბნეულ მგზავრს სალოცავად და ცოდვების მოსანანიებლად. ნ. სამადაშვილის პოეზიაში სამრეკლოს ეს ფუნქცია დაკარგული აქვს. ის, ხშირ შემთხვევაში, კრიჭაშეკრული და დადუმებულია. ამ საკითხთან დაკავშირებით, კონკრეტული მაგალითების მოხმობით რუსუდან ნიშნიანიძე თავის დისერტაციაში ასკვნის, რომ ზარების რეკვა არაა მოზეიმე სულის გამომხატველი, ეს უფრო მეტად ნაღვლიან ფიქრს, სევდასა

და მწუხარებას გამოხატავს.(ნიშნიანიძე რ. 2000) აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ რუსუდან ნიშნიანიძის დისერტაცია ერთადერთი ვრცელი ნაშრომია პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება ბეთანია, როგორც საკრალური ადგილი. პოეტისათვის ეს ადგილი თავისი XII საუკუნის ტაძრით განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია. აქ ერთმანეთის გვერდითაა წარმოდგენილი წარმართობა და ქრისტიანობა. ბეთანიის ადგილები უამრავ საიდუმლოს ინახავს, რაც შემდეგ ცოცხლდება ლირიკული გმირის წარმოდგენაში. კონკრეტული მაგალითების, სახარებისეული შედარებებისა და თვითონ პოეტის პროზაული ჩანაწერების მიხედვით, შევეცადეთ წარმოგვედგინა ლექსის „ბეთანია“-ს სრული განხილვა. ეს პოეტური ნაწარმოები თავის დროზე შესწავლილი ჰქონდათ ზურაბ კიკნაძეს, თამაზ ჩხენკელსა და რუსუდან ნიშნიანიძეს.

თავი I

სანამ უშუალოდ საკითხის კვლევას შევუდგებოდეთ, უმჯობესი იქნება მოკლედ მიმოვიხილოთ ნ. სამადაშვილის ბიოგრაფია, როდის გამოჩნდა ის სამოღვაწეო ასპარეზზე და როგორ აფასებდნენ თანამედროვენი მის შემოქმედებას.

ნიკო სამადაშვილი დაიბადა 1905 წლის 19 ივლისს. მიხეილ სამადაშვილისა და ოლღა კობერიძის ოჯახში პირველი შვილი იყო. მალე ოჯახს კიდევ ერთი წევრი, ნიკოს და, ელენე შეემატა. მამის გარდაცვალების შემდეგ, პატარა ნიკო ბებია ეფემიასთან იზრდებოდა სოფელ ხიდისთავში. შვიდი წლის ასაკში ის მიაბარეს გორის სასულიერო სასწავლებელში. მოგვიანებით, გორის ვაჟთა გიმნაზია ჰუმანიტარულ ტექნიკუმად გადაკეთდა, რომელიც მან დაამთავრა 1924 წელს. 1925 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, თუმცაღა განზრახული ჰქონია ფილოსოფიურ დარგზე. 1928 წელს იგი გარიცხულ იქნა უნივერსიტეტიდან. ჩვეულებრივ, უნივერსიტეტის სასწავლო პრაქტიკაში მიღებული იყო გარიცხულ სტუდენტთა აღდგენა, მაგრამ სწორედ მაშინ მომხდარა გამონაკლისი. ეს იყო პოეტისთვის უდიდესი ფსიქოლოგიური დარტყმა. მთელი ცხოვრება განიცდიდა სწავლის დაუსრულებლობას.

პოეტი იძულებული ხდება ოჯახის სარჩენად შეუფერებელ დარგში დაიწყოს მუშაობა. 1931 წლიდან იგი ბუღალტერ-რევიზორია სხვადასხვა დაწესებულებაში. 1943 წლის 12 იანვარს აპატიმრებენ თბილისში, თავის ბინაზე. როგორც რუსუდან ნიშნიანიძის გამოკვლევაში ვკითხულობთ: *„სასამართლო საქმეში აღნიშნულია, რომ წაყენებულ ბრალდებაში ნ. სამადაშვილმა თავი დამნაშავედ ცნო; რომ 1929 წელს იყო ერთ-ერთი ხელმძღვანელი იატაკქვეშ მომუშავე კონტრრევოლუციური ორგანიზაციისა „ახალგაზრდა*

მარქსისტები“, თუმცა უარყოფდა მავნებლური ანტისაბჭოთა აგიტაციის ჩატარებას.“[ნიშნიანიძე რ. 2000; 288]

პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ მძიმედ წარიმართა პოეტის ცხოვრება. გამუდმებით განიცდიდა სამუშაოს უქონლობას, უფულობასა და გაჭირვებას.

პირველად იგი 1930 წელს დაქორწინდა ევა ჩაკალიდზე, რომელსაც მალევე გაშორდა. მეორე ქორწინება 1936 წელს შედგა, მან თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა მარიამ ამანათიშვილს, რომელთანაც პოეტს სამი შვილი შეეძინა - ორი ვაჟი (თამაზი და ნუგზარი) და ერთი ქალიშვილი (მზია).

ნ. სამადაშვილი გარდაიცვალა 1963 წლის 1-ლ მაისს. დაკრძალულია ქალაქ თბილისში, საბურთალოს სასაფლაოზე.

პოეტმა სიცოცხლეში რამდენიმე ლექსი გამოაქვეყნა გაზეთ „წითელი ქართლის“ ფურცლებზე. 1967 წელს ლიტერატურულ საქართველოში დაიბეჭდა ნ.სამადაშვილის რამდენიმე ლექსი („ატენის სიონი“, „ჩემი სოფელი“, „ნიკო სამადაშვილს“, „დამშვიდობება და სინანული,“ „ბეთანია“).

1975 წლის მაისში, ჟურნალ „ოქროს საწმისში,“ რომელიც ზვიად გამსახურდიას რედაქტორობით გამოდიოდა, პირველ და მეორე ნომრებში დაიბეჭდა პოეტის 10 ლექსი.

დღემდე გამოცემულია ნ. სამადაშვილის ერთი პროზაული და სამი ლექსების კრებული. 2004 წელს ლიტერატურის მუზეუმმა იზა ორჯონიკიძის რედაქტორობით გამოსცა პოეტის ყველაზე სრული კრებული, სადაც შეტანილია ლექსები, პროზაული ნაწარმოებები, ვარიანტები, პირადი მიმოწერა და მოგონებები.

როგორც პოეტი, მისმა მასწავლებელმა ერეკლე ტატიშვილმა აღმოაჩინა, თურმე ლექსების გამოქვეყნებას არ ურჩევდა, *„შენ რომ ლექსები გამოაქვეყნო ამ ქვეყნიდან აღიგვებიო“.[სამადაშვილი მ. 2002; 40]*

ლექსების გამოქვეყნებას არ ურჩევდა აგრეთვე გალაკტიონ ტაბიძეც, რომელიც საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევდა მის შემოქმედებას:

„დავრწმუნდი მე თქვენს სიძლიერეში;

მომავლისაკენ! წინ! იერიში!“

ნიკო სამადაშვილის შემოქმედება ფართო მკითხველამდე მიიტანეს თამაზ ჩხენკელმა და არჩილ სულაკაურმა. თამაზ ჩხენკელის შეფასებით: *„მისი ლექსები მოგვაგონებენ გაუცრელი თიხისაგან გამომწვარ ასიმეტრიულ დოქებს, რომელთაც ამჩნევიათ კოჟრები და ზოგჯერ მომტვრეული აქვთ ტუჩი ან ყური, მაგრამ პოეზიის ძელვი, შეურყვნელი, მაგარი ღვინით არიან სავსენი“. [ჩხენკელი თ. 2004; 512]*

არჩილ სულაკაური იგონებს: *„ნიკო სამადაშვილის ლექსები უბით დამქონდა, ზოგი უკვე ზეპირად ვიცოდი. ვუკითხავდი ნაცნობ პოეტებს, არაპოეტებსაც, უბრალოდ პოეზიის მოყვარულებს და ყველანი შეთქმულებივით გულგრილად მომჩერებოდნენ, უკეთეს შემთხვევაში დაეჭვებულად იღიმებოდნენ, არც ისეთი ლექსებია შენ რომ გგონიაო. ზოგი რითმას უწუნებდა, ზოგი ვერსიფიკაციას. ზოგჯერ ეჭვიც კი შემპარვია ჩემს თავსა და ჩემი მეგობრის ცოდნასა და გემოვნებაში. მერმე შევხვდებოდი ჩემს მეგობრებს, ვისაუბრებდით და ყოველგვარი ეჭვი უკვალოდ ქრებოდა.“ [სულაკაური ა. 2004; 498]*

ზურაბ კიკნაძე, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ნიკო სამადაშვილის შემოქმედების კვლევაში, ასე ახასიათებს მის პოეზიას: *„ყოველი ლექსი მისი სულიერი აპოკალიფსია,- საკუთარ თავთან ჭიდილისა და მის მიერვე უარყოფილი ქვეყნიერების წინაშე პირისპირ დგომის დოკუმენტი. პირქუშ ხილვებთან ერთად მასში აღნუსხულია მისი შინაგანი ცხოვრების ბევრი ნათელი წამი. მრავალფეროვანი ქართული პოეზიის ხომლს ნიკო სამადაშვილის ხმაც უერთდება, - ტრაგიკული, მაგრამ მუდამ სინათლისაკენ გამყივარი ძახილი.“ [კიკნაძე ზ. 2004; 517]*

და ბოლოს, როგორც ირაკლი კოსტავას ლექსშია:

„შენ ისევ დაბრუნდი,

ღმერთების ამბავს

ისევ გვიყვები,

მწვერვალებისკენ

ნაცად ბილიკებს

ისევ მიჰყვები.“ [კოსტავა ი. 2002; 59]

„სულის საზრდოდ“ ქცეული ნიკო სამადაშვილის პოეზია თამამად აუყვება „უკვდავებისაკენ მიმავალ ბილიკებს.“

I.I ბეთანია - საკრალური ადგილი ნიკო სამადაშვილის პოეზიაში

ქართველი ხალხი ოდითგანვე განსაკუთრებულ მნიშველობას ანიჭებდა ისეთ ადგილებს, რომელთა დაარსების ისტორიები თავისი საკრალურობით გამოირჩეოდა. ესა თუ ის ტოპონიმი, არქიტექტურული ძეგლი მაშინვე პოპულარური ხდება თუ მისი დაარსება - აგება გამორჩეული პიროვნების სახელთან არის დაკავშირებული. ასეთი საკრალური მნიშვნელობისაა თბილისთან ახლოს მდებარე გეოგრაფიული ადგილი ბეთანია, თავისი XII საუკუნეში აშენებული ტაძრით. სანამ მის არქიტექტურულ ღირებულებაზე ვისაუბრებთ, საინტერესოა, როგორ გაჩნდა ეს ტოპონიმი ქართულში და რა სიმბოლური დატვირთვის მატარებელია ის ჩვენი ხალხისთვის. ისევე, როგორც იერუსალიმს, თბილისსაც აქვს თავისი ბეთანია. ეს ადგილი თამარის ხანაში გაშენდა, მაგრამ მისი დამკვიდრების ისტორია გაცილებით დიდი ხნის წინ უნდა დაწყებულიყო. ბეთანია ბიბლიურ - გეოგრაფიული ადგილია, რომელთანაც დაკავშირებულია ქრისტეს ერთ - ერთი სასწაული, კერძოდ კი - ლაზარეს მკვდრეთი აღდგინება. როგორც მკვლევარი ზურაბ კიკნაძე აღნიშნავს : *„ქართლის ბეთანიაში ისმის პალესტინის ბეთანიაში აღმომხდარი კვნესა! ესაა იდუმალი იგივეობის განცდა და სულისკვეთება რომლის წყალობითაც ქართლის მიწაზე წმინდა მიწის სახელები ინერგება არა მხოლოდ გასახსენებლად სახარების ამბებისა და სასწაულებისა, არც უბრალოდ წაბაძვის სურვილით, არამედ, დაძველებული ადგილების განსაახლებლად და ახალი რელიგიის შუქით გასანათებლად, განსაწმენდად.“ [კიკნაძე 8; 2017: 173]*

რაც შეეხება ტაძარს, იგი მდებარეობს ვერეს ხეობაში, დედაქალაქიდან 18 კილომეტრის დაშორებით, განმარტოებულ, მყუდრო ადგილას. როგორც უკვე ვახსენეთ, XII საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება. ეს ძეგლი პოპულარულია არა მარტო თავისი ხურორთმოძღვრული ღირსების გამო, არამედ იმიტომაც რომ, მისმა კედლებმა შემოგვინახა გიორგი III - ის, ლაშა - გიორგისა და თამარ მეფის პორტრეტები. *„მთავარი ტაძარი წარმოადგენს ჯვარგუმბათოვან ნაგებობას, რომლის მრავალსარკმლიანი გუმბათი ეყრდნობა დასავლეთით ორ თავისუფლად მდგომ სვეტს და საკურთხევლის შვერილ კედლებს. გუმბათის ყელი ნამდვილი კოშკივით წარმოგვიდგება. იგი მაქსიმალურად არის დატვირთული მორთულობით, ისე რომ მისგან თავისუფალი ადგილი თითქმის არ რჩება. შუა სარკმლის თავზე, მცირე ინტერვალით, დასმულია ფართოდ მოქნეული თაღოვანი ჩუქურთმიანი არშია. შუა ღერძს აგრძელებს ხსენებული ჩუქურთმის ზემოთ მდებარე თავისებური ორნამენტული ფიგურა, რომელიც ბეთანიელი ხუროთმოძღვრის ფანტაზიის ნაყოფია. სამხრეთ ფასადის განმასხვავებელია შესასვლელის წინ მიშენებული კარიბჭე. საკუთრივ ორნამენტულ რეპერტუარში მცენარეულ მოტივებს დიდი ადგილი უჭირავს, მაგრამ გვხვდება წრეები, რომბები, რვიანები და კალათისებური წნულები.“ [ბერიძე ვ. 2014; 314-315]* როგორც მეცნიერი ვახტანგ ბერიძე შენიშნავს, ბეთანიის ტაძარი თავისი არქიტექტურით ახალი ტიპის მომასწავებელია. რაც შეეხება ფრესკებს, ისინი ადგილ-ადგილაა შემორჩენილი. მხატვრობის სქემა XII საუკუნის ტაძრებისათვის საკმაოდ უჩვეულოა. რადგან ტაძარი ღვთისმშობლის სახელობისაა, საკურთხევლის კონქში „ღვთისმშობლის დიდება“ უნდა იყოს გამოსახული. ბეთანიაში კი - „საყდარზე მჯდომი მაცხოვარი“ იყო გამოსახული. მაცხოვრის ქვემოთ გამოსახულნი არიან წმინდა წინასწარმეტყველები, რაც აგრეთვე უცხოა იმდროინდელი მხატვრობისათვის.

სულიერი თვალით დანახვა ასეთი გამორჩეული ღირებულების მქონე ადგილებისა თავს იჩენს საერო პოეზიაში. ბეთანია არაერთხელ გამხდარა ასახვის ობიექტი ქართველ პოეტთა შემოქმედებაში. საკმარისი იქნება გავიხსენოთ გრიგოლ ორბელიანის „ თამარ

მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ , გალაკტიონ ტაბიძის „წამყე ბეთანიისაკენ“, ანა კალანდაძის „ბეთანიის გზაზე“, ჯანსუღ ჩარკვიანის „ბეთანია“ და მრავალი სხვა.

ნიკო სამადაშვილისთვის ბეთანია ის ტაძარია *„თავისი არსებობის სამხარზე უკვდავებით რომ აღიკვეთა“[სამადაშვილი ნ. 2004; 287]* . ამ ტაძრის საკრალურობის განცდა განსაკუთრებით მძაფრია ლექსში „უკანასკნელი ქრისტიანები“ (საარქივო გამოცემაში შეტანილია როგორც „ბეთანია“), რომელიც ექვსი ნაწილისაგან შედგება. დასაწყისი, ერთი შეხედვით, პოეტის ბიოგრაფიიდან ამოტივტივებულ ეპიზოდს მოგვაგონებს, როცა მან და მისმა მეგობრებმა გადაწყვიტეს ქართული დიდების ძეგლი ენახათ და „მაისის წკრიალა ბილიკებით“ გზას გაუყვნენ ბეთანიისაკენ. ბეთანიის სანახები უამრავ საიდუმლოს ინახავს. ამ გზაზე მიმავალ მომლოცველთა წარმოსახვაში იღვიძებს საზარელი ლეგენდა თუ ისტორია :

[1]„ხევში მდინარე შემოგვეფეთა -

შეწირულ ბავშვთა ცრემლები იყო.

ჩვენ მივდიოდით აღმართზე ერთად,

რატომღაც ჩუმად, რაღაც უიღბლოდ...“ [სამადაშვილი ნ. 2004; 46]

ან:

„აკლდამის ჭოჭში დახოცილთ ძვლები

ეყარა როგორც მოჭრილი ფიჩხი...“ [სამადაშვილი ნ. 2004; 48]

ზემოთ მოყვანილ სტროფებთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს თამაზ ჩხენკელი, რომელსაც უცვლელად მოვიყვან *: „ბეთანიის აღმართი მათთვის* (მომლოცველთათვის) *გოლგოთაა და პოეტის წარმოსახვაში, ეს ქრისტიანული ტაძარი - სათნოების, დიდების და მორჩილების სახლი - აცტეკურ თეოკალს ემსგავსება,*

[1] ტექსტი დამოწმებულია ნიკო სამადაშვილის საარქივო გამოცემიდან „ფერისცვალება“ და შემდგომშიც ასე იქნება. ლიტერატურის მატიანე თბ; 2004.

სადაც ადამიანთა სიცოცხლე მსხვერპლად ეწირება მძვინვარე, გამოუცნობ და უჩინარ ღვთაებას.“ [ჩხენკელი თ. 2004; 509]

ლექსი შემდეგნაირად გრძელდება: „ აქ დანდობილა გლეხი სახრეზე, აქ შესწრებია ორშაბათ დილას“. ორშაბათში განსაკუთრებული სიმბოლო მარხია, რაღაც ხალხურ - ტრადიციული, ან შესაძლოა, ბიბლიურიც. ავტორის სხვა ლექსებსაც თუ გადავავლებთ თვალს, ის ერთგან შავ ორშაბათს ახსენებს: *„მძლე ქარიშხალი შავ ორშაბათს დარეკავს ზარებს“.(ლექსიდან „წინათგრძნობა“)* ან კიდევ: *„კვირაძლის მწუხრზე ჰვავდა ორშაბათს და გულის კვამლი უწვავდა თვალებს“ (ლექსიდან „დაითენთა“).* დიდ ორშაბათს ეკლესია იხსენებს უნაყოფო ლეღვის გახმობას. ბეთანიიდან მომავალმა მაცხოვარმა *„იხილა ლეღვი ერთი გზასა ზედა და მოვიდა მისა და არარაი პოვა მას შინა, გარნა ფურცელი ხოლო. და ჰრქუა მას: ნუღარ იყოფინ ნაყოფი შენგან საუკუნოდ. და განხმა ლეღვი იგი მეყსეულად.“ [მათე 21;19]* უსარგებლო, ფუტურო ადამიანიც სწორედ იმ ლეღვს ემსგავსება, რომელიც გაფოთლილია, მაგრამ ნაყოფს არ ისხამს. უნაყოფო ლეღვი აგრეთვე ყველა იმ ქრისტიანის სიმბოლოცაა, რომელიც სინანულის ნაყოფს არ ისხამს. უსინანულოდ ტოვებს ტაძარს „რჯულდაწყვეტილი ექვსი ქართველიც.“

„ფუტურო სხეულს გულის სიზმარი

შერჩება როგორც გოლგოთის თხრილი.“[სამადაშვილი ნ. 2004; 165]

პოეტის მზერა ბეთანიის ტაძარში არსებულ ფრესკებზე ინაცვლებს: „ახლაც კი ვამჩნევ ლაშას სახეზე ჯალალ - ედინის შემოკრულ სილას.“ [სამადაშვილი ნ. 2004; 46] ეს სტროფი განხილული აქვს რუსუდან ნიშნიანიძეს, რომელიც ეყრდნობა აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევას. მოულოდნელად 1222 წელს ლაშა-გიორგი გარდაიცვალა, თუ რამ გამოიწვია მეფის ასეთი უეცარი გარდაცვალება საისტორიო წყაროების მიხედვით არ ჩანს. მხოლოდ ნათქვამია, რომ მონღოლებთან ბრძოლის დროს „პირველი წყლულება“ მიიღო. ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებით, ეს ცნობა ჭაბუკ ლაშა-გიორგის გულისხმობს და მისი გარდაცვალების მიზეზი სწორედ ეს ჭრილობები უნდა გამხდარიყო. *„როგორც საქართველოს ისტორიის ნარკვევებშია აღნიშნული, მონღოლებს სამჯერ*

ჰქონიათ შეტაკება ქართველებთან 1220-21 წლებში და სამივეჯერ გაუმარჯვიათ. მათ სარდლები ჯებე და სუბუდაი ედგნენ სათავეში. ჯალალ-ედინი მხოლოდ 1225 წელს დაიძრა საქართველოსაკენ. ამ დროისათვის ქვეყანას უკვე რუსუდანი მართავდა. ასე რომ, ჯალალ-ედინი და ლაშა-გიორგი ერთმანეთს ბრძოლის ველზე არც შეხვედრიან, მაგრამ მისი ტომის ლაშქარმა პირველი ბზარები გაუჩინა ერთიანი საქართველოს სიმტკიცეს. „ოქროს ხანამ“ ამ დღეებიდან იწყო დასრულება, ეს პირველი ხელის აღმართვა იყო, რომელიც უძლიერეს სახელმწიფოს შეჰბედეს.“[ნიშნიანიძე რ. 2000; 303]

საქართველოს ჯალალ-ედინამდეც ბევრი მტერი ჰყოლია და მის შემდეგაც. ზემოთ მოხმობილი ფრაზა არ გულისხმობს მხოლოდ წარსულის მტერს ჯალალ-ედინის სახით, იგი *„საქართველოს მარადიული მტრის სიმბოლოა“ [კიკნაძე ზ. 2004;. 515]*

ლეგენდისა თუ მითის თხრობას კვლავ აგრძელებს პოეტი :

„აქ თავის თათით ითხრიდა საფლავს

მწყემსდაღუპული სოფლის ნახირი.“ [სამადაშვილი ნ. 2004. 46]

ამ სტრიქონებში აშკარად გამოსჭვივის ბიბლიური მწყემსი კეთილისა და სამწყსოს ურთიერთობა. იოანეს სახარებაში, ქრისტე თავის მოწაფეებს იგავს უამბობს, თუ როგორ უნდა განარჩიონ ერთმანეთისგან ჭეშმარიტი მწყემსი „ცხოვართა“, ქურდისა და ავაზაკისაგან. *„ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მე ვარ კარი ცხვართა. ყველა, ვინც ჩემზე წინ მოვიდა, ქურდია და ყაჩაღი. მე ვარ კარი: ჩემ მიერ თუ ვინმე შევიდეს ცხონდეს; შევიდეს და გამოვიდეს და საძოვარი პოვოს. ქურდი მხოლოდ იმისათვის მოდის, რომ მოიპაროს, მოკლას და მოსპოს. ხოლო მე მოვედი, რათა ჰქონდეთ სიცოცხლე და ჭარბადაც ჰქონდეთ. მე ვარ მწყემსი კეთილი: კეთილი მწყემსი თავის სულს დადებს ცხვრებისათვის.“ (იოანე, თ. მეათე, მუხლი 7, 8, 9, 10, 11)* ლექსის მიხედვით, მწყემსი დაღუპულია, შესაბამისად, დარღვეულია სულიერი ჰარმონია ქრისტესა და მის სამწყსოს შორის. „სოფლის ნახირი“ იმ ცხვრების ფარას მოგვაგონებს, რომელიც მოქირავნის ხელში აღმოჩნდა და მომავალი მგლის დანახვისას მიატოვა, მგელმა კი დაჰფანტა და წარიტაცა ცხვარი.

პოეტის ყურადღებას იპყრობს ჟამთა სიავისაგან იავარქმნილი ტაძრის კედლები:

„ჟამს ტაძრის კანი ისე დაუხრავს,

რომ გარეთ ჟონავს ჭრაქის ნათელი“. [სამადაშვილი ნ. 2004; 47]

ბეთანიის სანახების აღწერა აქ არ მთავრდება :

„დაუსუსხია ბზის ბუჩქი ჭინჭარს,

ქანდაკება დგას აღთქმული მგზავრის.

ტაძრის ფუტურო ქერქში ჭრიჭინებს

ვიღაც უძეგლო ხუროთმოძღვარი.“ [სამადაშვილი ნ. 2004; 47]

საინტერესოა პროზაული ნაწარმოები „ბეთანია“, რომელიც თითქმის ზედმიწევნით მისდევს ლექსს „უკანასკნელი ქრისტიანები“. პოეტი აქ ასე აღგვიწერს დიდებულებადაკარგულ ტაძარს : *„ბეთანიის ტაძარი ავადმყოფი მწირივით სთვლემდა. თითქოს სივრცეებში გაჭრილ სამრეკლოებს ქარავანს უკან ჩამორჩენოდა და გზააბნეული შეთქმულივით საუკუნეთა ტევრში გაჩხირულიყო.“ [სამადაშვილი ნ. 2004; 227]*

პოეტი მკვეთრი კონტრასტით ცდილობს, წარმოაჩინოს არსებული განსხვავება ძველსა და ახალ დროებას შორის. ბეთანიის ტაძრის ძველი დიდებულების უკეთ საჩვენებლად გვეუბნება, რომ აქ თურმე წარმართებიც კი იყრიდნენ მუხლს გიორგობის დღესასწაულზე. ახლა კი :

„სამრეკლო იდგა მუდამ პირქუშად,

თუ დარეკავდა გაყრიდა ნაგავს.“ [სამადაშვილი ნ. 2004; 48]

ავტორის სათქმელის უკეთ წარმოსაჩენად უმჯობესი იქნება მოვიშველიოთ პროზაული ტექსტი: *„სამრეკლოებზე მტრედების ფათური ისმოდა. ზენარი ზარები სდუმდნენ წირვებით დაქვრივებულნი, ასეულ წლებში მუდარითა და რეკვით დაოსებულნი.“ [სამადაშვილი ნ. 2004; 289]*

ლექსის მესამე ნაწილი ერთგვარ ვედრებას წარმოადგენს დედის მიმართ, ნეტავ თვითონაც აქ შეეწირულიყო, იქნებ ოდესმე შავი ღრუბლების ცივ წინწკალს მისთვის წესიც კი აეგო.

„რომ ეთქვათ ქარებს - მადლი დედაშენს...

თან ღმერთს შესჭროდი საყდრების გლახა,

რომ ჩემი სისხლი, როგორც ზედაშე

ქვევრში ჩაგესხა, დაგეტალახა.“ [სამადაშვილი ნ. 2004; 47]

ნიკო სამადაშვილის მიერ დახატული ადამიანის სახე სხვა განზომილებაშია გადასული, ან უარეს შემთხვევაში, ამქვეყნიურ სამყაროს უკვე აღარ ეკუთვნის. ამის ნათელი მაგალითია შემდეგი სტროფი:

„მათხოვარი ზის, როგორც ობობა -

მყარ ჯოჯოხეთის მოხდილი ბკეა,

არც ზღაპარია, აღარც მოთხრობა,

ის თითქოს ჩიტებს აუკენკიათ.“ [სამადაშვილი ნ. 2004; 47]

როგორც, ობობა ცდილობს საცეცებით თავის გადარჩენას, ასევეა მათხოვარი, რომელიც ეძებს საკუთარ ადგილს ამ სამყაროში, მაგრამ ამაოდ.

თემო ჯაფარიძე ამ სტროფის ინტერპრეტაციისას ამბობს: *„მათხოვრის იერსახის ტრაგედია ბევრად სცილდება სოციალურად ბედკრულის გასაჭირს, ზოვადდება და იმდენად საყოველთაო შინაარსს იძენს, რომ მასში მარადისობის მთხოვნელი ზოვადადამიანი დაინახება. მასში ამაოების ყველა საშინელებათა მხილველი სასოწარკვეთილი ეკლესიასტეც შეიძლება განვჭვრიტოთ. არა მხოლოდ ეკლესიასტე, არამედ წარმავალობასთან გონით და განცდით შებრძოლებული ყველა ნატანჯი მაძიებელი.“ [ჯაფარიძე თ. 2004; 551]* ეს სტროფი ხატოვნებითა და დრამატიზმით სავსე ლექსში უნებლიეთ იქცევა მთავარ აქცენტად. თითქოს იგი იკრებს ნაწარმოების ქვეტექსტის

მთლიან დრამას. ავტორის მიერ პოეტური დაუნდობლობით დახატულ, ერთი შეხედვით კონკრეტულ მათხოვარში შეკრებილა ყველა ადამიანის იმედგაცრუება და ტკივილი.

დასასრულს კი მინდა ყურადღება გავამახვილო ერთ მეტად მნიშვნელოვან ფრაზაზე : „ძლივს ვამშვიდებდით შემკრთალ მაცხოვარს რჯულდაწყვეტილი ექვსი ქართველი“. პოეტი „რჯულდაწყვეტილობაში“ ამხელს თავის თავს. ამ სტროფთან დაკავშირებულ თემო ჯაფარიძის მოსაზრებას თავიდან ბლომდე უცვლელად მოვიყვან: *„როცა ქრისტიანობის ტრადიციულ ფორმებს ეხება,* (პოეტი) *უნებლიეთ ქართულ კულტურასთან აქვს საქმე, ამიტომ სათუთად ექცევა ტრადიციულ რწმენას, მაგრამ იმასაც ხედავს, რომ ტრადიცია ნანგრევებსღა წარმოადგენს. საკუთარი თავის მხილება პირდაპირი გაგებით ურჯულოებას კი არ ნიშნავს, არამედ, შერყეული რწმენის სინანულს თავისი არასრულფასოვნების გამო“.[ჯაფარიძე თ. 2004; 549]* საყურადღებოა აგრეთვე რიცხვი ექვსი, რატომ მაინცდამაინც ეს ციფრი და არა სხვა? როგორც ვიცით სამყაროს შესაქმის დღეების რაოდენობა ექვსით განისაზღვრება, ეს უბრალო შემთხვევითობა არ არის. რიცხვითი სახელი „ექვსი“ სრულყოფას აღნიშნავს, მასში ცხადდება იდუმალი მოძღვრება, რომ ღვთისაგან სისრულეში მოყვანილი სამყარო, მსგავსად ზემოთ აღნიშნული განმარტებისა ისეთივე სრულყოფილი და უნაკლო იყო, როგორც რიცხვი ექვსი. განსაკუთრებული სიმბოლური დატვირთვა აქვს რიცხვ ექვსს ძველ ქართულ ლიტერატურაში. მაგალითისთვის გავიხსენოთ წმინდა ნინოს ცხოვრება, რომლის ექვსწლიანი მოღვაწეობა მეშვიდე წელს განესრულა მირიან მეფის მონათვლითა და ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიის გამოცხადებით. იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებიდან“ ვიგებთ, *„რომ ვითარცა აღივსებოდა მექუსეი იგი წელი საპყრობილესა მას შინა... და ვითარცა მეშვიდე წელი დადგებოდა მოიწია წმიდისა და სამგზის სანატრელისა შუშანიკის ზედა წყლულებადცა ხორცთა მისთაიდ.“ [იაკობ ხუცესი 1982; 21]* შუშანიკის ექვსწლიანი ტანჯვის შემდეგ, მეშვიდე წელს დადგა მისი აღსასრული. როგორც ვხედავთ, ზემოთ მოხმობილ მაგალითებში ექვსს განასრულებს შვიდი. ექვსი ქართველიც ვიღაც მეშვიდეს ელოდება, ვინც მათ ერთადყოფნას განასრულებს.

რაც შეეხება „შემკრთალ მაცხოვარს," ამ ფრაზის გასაანალიზებლად კვლავ ბიბლიას უნდა მივმართოთ და ორი ეპიზოდი მოვიხმოთ ქრისტეს ცხოვრებიდან. როდისაა ის „შემკრთალი"? მეტად ამაღელვებლად აღწერენ მახარებლები იესოს მწუხარებას გეთსამანიის ბაღში : *„იწყო მწუხარებად და ურვად"* - ამბობს მათე. სწორედ აქ ეუბნება თავის მოწაფეებს : *„შეწუხებულ არს ჩემი სული ვიდრე სიკვდილადმდე; დადგერით აქა, და იღვიძებდით ჩემთანა" [მათე 26; 38]* შემკრთალია ჯვარცმული მაცხოვარი როცა მამას მიმართავს : *„ღმერთო, ღმერთო რაისათვის დამიტევებ მე?" [მათე; 27; 46].* რადგან ადამიანური ბუნებისათვის დამახასიათებელია სიკვდილის შიში, ზემოთ ხსენებულ ორივე შემთხვევაში ქრისტე სწორედ ამ ადამიანურ ბუნებას ამჟღავნებს და განსაცდელის პირისპირ მდგარს მწუხარებისა და შიშის გრძნობა ეუფლება.

როგორც ვხედავთ, ლირიკული გმირის ფიქრები და განცდები მძაფრი ტრაგიზმითაა გაჯერებული. თუკი ქრისტიანული ტრადიცია ნანგრევესღა წარმოადგენს, არა მარტო მატერიალური, არამედ სულიერი თვალსაზრისითაც, სრულიად ლოგიკურია ლექსის დასასრული და ის განცდა, რაც აქ სალოცავად ამოსულ პილიგრიმებს ეუფლებათ:

„უსინანულოდ ვტოვებდით ტაძარს

უკანასკნელი ქრისტიანები." [სამადაშვილი ნ. 2004; 48]

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ეს ლექსი გამოირჩევა ტრაგიკულობის განცდით, რაც კარგად არის გადმოცემული სხვადასხვა ასოციაციით, იქნება ეს წარმართული, ქრისტიანული თუ ხალხურ-ტრადიციული. *„ამ სტრიქონებში იმალებოდა პოეტის განწირული ქვეყანა, მან ლექსში ზედაშესავით ჩაასხა თავისი ბობოქარი ცხოვრების დასაწყისი." [სამადაშვილი ნ. 2004; 292]*

I.II ზარი და სამრეკლო

როდესაც ტაძარს ვუახლოვდებით, ჯერ კიდევ შორიდან გვესმის ზარების ერთმანეთში გარდამავალი ხმები. ისინი გვაუწყებენ იმის შესახებ, რომ ახლოვდება ღვთისმსახურების საათი.

ზარი ჩვენი ხალხის (და არა მარტო ჩვენი ხალხის) ცხოვრების მუდმივ თანამგზავრს წარმოადგენდა. იგი ადამიანთა მწუხარების, სიხარულის, და დღესასწაულის სიმბოლოა. ზარის რეკვით ხალხს განსაკუთრებული შემთხვევებისას იწვევდნენ. მაგალითად, სახალხო კრებებზე. ომის დაწყებას და დასრულებას მისი საშუალებით ატყობინებდნენ. ზარის ხმა გზას უკვალავდა აგრეთვე გზააბნეულ მგზავრსაც.

„ზარის ჟღერადობა საშუალებას აძლევს ყანაში მომუშავე გლეხს ან მგზავრს გზაში, რომ აზრით, გონებით ტაძარში იყოს. ის თითქოს ადამიანის სადარაჯოზეა. იგი სინდისისაკენ უხმობს მას, ვინც დაივიწყა თავისი ვალი და არასწორი გზით წავიდა. ზარი ეკლესიის ხმაა, მძინარე კაცობრიობის გამღვიძებელი.“ [გურული გ. 2006; 612]

ნიკო სამადაშვილის შემოქმედებაში ზარის და სამრეკლოს ეს უკანასკნელი ფუნქცია დარღვეულია. ამ სახე-სიმბოლოს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. როგორც გადატანითი, ისე პირდაპირი მნიშვნელობით იგი ეპოქის მამხილებელ ბევრ ნიშან - თვისებას შეიცავს, აგრეთვე ნათლად გამოხატავს პოეტის სულიერ მდგომარეობას, მის განცდებსა და ფიქრებს. ეპითეტები, რითაც პოეტი სამრეკლოებს გვიხასიათებს, მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა, თითქმის ყველა შემთხვევაში აზრი ერთი და იგივეა. „პირქუში“, „ჭროღა,“ „მოწყენილი,“ „კრიჭაშეკრული“, ხანაც კი „ატირებული“. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ეპითეტი მხოლოდ ერთ რამეზე მიგვანიშნებს, სამრეკლო დუმს, მან დაკარგა თავისი ფუნქცია, იგი აღარ დგას ადამიანთა სადარაჯოზე და აღარც გზააბნეულ მგზავრს მოუწოდებს სალოცავად. საღვთისმეტყველო ლიტერატურაში განმარტებულია, რომ ზარის *„რეკვა არის ჭეშმარიტად „კეთილისმოქმელი“ - მუსიკალური ქადაგება, გარეთ გამოსული ღვთისმსახურებისა.“[გურული გ. 2006; 612]* თუ ზარი კრიჭაშეკრულია, ხოლო სამრეკლოში მტრედები იბუდებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ არა მარტო ზარმა, არამედ ეკლესიამაც დაკარგა ფუნქცია, ტაძარში წირვა - ლოცვა არ აღევლინება. ვფიქრობ, პოეტი

ფარულად ამხელს იმდროინდელ ტოტალიტარულ რეჟიმს, საბჭოეთის მრწამსს და დამოკიდებულებას რელიგიისადმი, მართლმადიდებლობისადმი.

ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლებისა და მისი რეჟიმის იდეოლოგიად იმთავითვე კომუნიზმი და ათეიზმი დამკვიდრდა. რეჟიმის წარმომადგენლები განსაკუთრებულ კონკურენტებად მართლმადიდებელ ეკლესიას აღიქვამდნენ. ბოლშევიკებმა პირველ სამიზნეებად ეკლესიის მსახურები ამოარჩიეს და ხშირ შემთხვევაში, არც მათ ლიკვიდაციას ერიდებოდნენ. მართალია, ისინი ამტკიცებდნენ, რომ რელიგიასთან ბრძოლისას ადგილი არ უნდა ჰქონოდა ძალადობას და რაიმე გზით მორწმუნეების გრძნობების შეურაცხყოფას, მაგრამ რეალობა სრულიად სხვაგვარი იყო. დაწყებული ლენინის იდეოლოგიიდან თითქმის პერესტროიკის პერიოდამდე გაგრძელდა დევნა, შევიწროება, შეურაცხყოფა მართლმადიდებლებისა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ფულადი ფონდის შესაქმნელად რეჟიმი ატარებდა „საეკლესიო ფასეულობათა ამოღებას“. ამ ფასეულობებში შედიოდა საეკლესიო სიწმინდეები: ხატები, ჯვრები, ბარძიმები და სხვა ნივთები. (პაპუაშვილი ნ. 2018)

ზემოთ ხსენებულ ლექსში „ბეთანია“ საგანგებოდ არ გავამახვილეთ ყურადღება ერთ სტროფზე, სადაც ჩვენი განხილვის ობიექტი - სამრეკლოა ნახსენები მეტად მნიშვნელოვან კონტექსტში :

„სამრეკლო იდგა მუდამ პირქუშად,

თუ დარეკავდა გაყრიდა ნაგავს,

სვეტიცხოველი ზურგით ზიდავდა

თუნგში ჩამოსხმულ ქოთქოთა არაგვს“. [სამადაშვილი ნ. 2004; 48]

„ნაგავში“ პოეტი, ალბათ, ტოტალიტარული რეჟიმის მიერ მოტანილ იდეოლოგიას გულისხმობს, რასაც სამრეკლო გაყრიდა, თუ დარეკავდა. ან კიდევ: „აქ კი ყმუოდნენ თეთრი ძღლები, და მოწყენილი იდგა სამრეკლო“. [სამადაშვილი ნ. 2004; 55] ლექსში „თვალს არ აშორებდა“ ავტორი კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას ტრადიციის

ნანგრევებზე „ცისკრის ამოსვლა ბეწვზე ეკიდა, ნანგრევს დაეხრა სამრეკლოს თარი“.[სამადაშვილი ნ. 2004; 101] ეპოქისეულ ნიშანით უნდა იყოს განპირობებული შემდეგი ფრაზა „ქვეყნიერება ჩვენ დაგვიგეს კაკანათივით, ქაოსებს იქით... კრიჭა - შეკრულ სამრეკლოებთან“ [სამადაშვილი ნ. 2004; 70] სხვაგან პოეტი დაწერს: *„სადღაც კლდემოფარებულ წუთისოფელში მგზავრი სოფელს წასწყვეტოდა. ძაღლები ყმუოდნენ. მოწყვეტილი სამრეკლო დაუპატიჟებელ სტუმარს მისჩერებოდა.“[სამადაშვილი ნ. 2004; 65]* ვინ არის „დაუპატიჟებელი სტუმარი“? ვფიქრობ ავტორი მასში საქართველოს მაშინდელ მტერს უნდა გულისხმობდეს, რომელიც ნამდვილად დაუპატიჟებელი და არასასურველი იქნებოდა. სწორედ ამიტომ გადადის სამრეკლო მარადიულ მდუმარებაში და სტუმარს უხმოდ, უცხოდ ეგებება.

კონსტანტინე გამსახურდიას ნოველაში „ზარები გრიგალში“, მიუხედავად იმისა, რომ იგი ექსპრესიონისტულ ნაწარმოებად ითვლება, შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ რეალისტურ ფერებშია წარმოდგენილი ეპოქა. ახალი დროების, ანუ რევოლუციისშემდგომ საქართველოს ასე გვიხატავს მწერალი: *„მნათე ოქოპირ მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ „ქვეყანა გამოიცვალა“, როცა დიდმარხვის ორშაბათს წმ. ზაქარიას ეკლესიის გუმბათზე ჯვარი ვეღარ ნახა. ჯვარი აღარ იყო სამრეკლოზედაც.“ [გამსახურდია კ. 2006; 388]* ეკლესიაც დაიკეტა, ორ თვეში, წირვის მაგივრად, „არსენა ყაჩაღს“ დასდგამდნენ ხოლმე. სოფელში სალოცავად არავის ეცალა. აი, რას წერს მკვლევარი ავთანდილ ნიკოლეიშვილი: *„ავტორი აშკარად გამოვლენილი შინაგანი უკმაყოფილებით ჰყვება „ქვეყნის გამოცვლის“ ტრაგიკულ ამბავს. მდგომარეობის რადიკალური შეცვლა, უპირველეს ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ ყოველდღიური პრაქტიკული საზრუნავით გონებაარეულმა, რევოლუციის იდეებით დაბნელებულმა ხალხმა ზურგი შეაქცია ჯვარსა და ეკლესიას. სარწმუნოებისადმი ამგვარი დამოკიდებულება ლოგიკური შედეგი აღმოჩნდა ახალი ხელისუფლების მოსვლისა. მან შერყვნა ყველაფერი წმინდა.“ [ავ. ნიკოლეიშვილი 2002; 258]*

ამ ნაწარმოებში ერთადერთი ქრისტიანი მნათე ოქოპირია, „უიმედი გლახა“, რომელმაც დიდების პორფირი მოისხა. დიდ ხუთშაბათს ოქოპირი ზარებს დარეკავს, ისე,

როგორც არასოდეს დაურეკავს მანამდე. იღუპება „უკანასკნელი ქრისტიანიც“, მაგრამ იღუპება ექსტაზში. ავტორის რწმენით, იგი ღირსია დაიკავოს ადგილი ღვთის გვერდით.

რადგან ტრადიციული გზით სვლა დავიწყებულია. ტაძრის კედლებს კი ხავსი მოედოთ, რწმენაშერყეული, ძირგამომპალი სამრეკლო ინგრევა *„მთელი თვე ეგდო წაქცეული სამრეკლო წმ. ზაქარიას ეკლესიის ეზოში, როგორც მკვდარი ღმერთის უშველებელი, უპატრონო ლეში“. [გამსახურდია კ. 2006; 394]*

„აწვიმდა სამრეკლოს. აწვიმდა ტაძარს.“ ეს ფრაზა ლაიტმოტივად გასდევს მთელ ნაწარმოებს. ნ. სამადაშვილთანაც ვხვდებით ამგვარ ფრაზას: „წვიმა თუ უშენს და ტირიან სამრეკლოები.“ [სამადაშვილი ნ. 2004; 143] ოქოპირს კი ძლიერ მაგონებს სამადაშვილისეული მნათე: „მოხუცი მნათე ტაძრის უკან სთვლემს და ჩიფჩიფებს, თითქოს სამრეკლოს მწუხარებას შეუვერცხლია“ [სამადაშვილი ნ. 2004; 185] თუკი ადამიანები განეშორნენ ღმერთს, დაივიწყეს ქრისტეს სიყვარული და აღარც მამა - პაპისეული გზით დადიან, მაშინ:

„საყდარში სანთლის შუქი ჩაქრება,

და მიეცემა მნათე ბნელ ფიქრებს.

გარეთ გაიყვანს კრულ მანდილოსანს,

ყრუ, ბრუციანი ბერი კიმოთე,

ძირს დავარდება კრიალოსანი,

გუშინ საყდარში რო დარჩათ ლოთებს.“ [სამადაშვილი ნ. 2004; 227]

მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, პოეტის რწმენით სამრეკლოში დაუცხრომლად დარეკენ ზარები. „ქარბუქი ჩადგა. მათხოვარიც ზეზე წამოდგა, ჩანს სამრეკლოში გაიღვიძებს მტრედების გუნდი, მოდგმა. დაუბრუნდებით.“ [სამადაშვილი ნ. 2004; 151]

ნიკო სამადაშვილის პოეზიაში ზარების დანიშნულებაზე საუბრობს რუსუდან ნიშნიანიძეც. *„ზართა ჩამორეკა არაა მოზეიმე სულის დღესასწაული, როცა იმედეულს მისი ხმა რწმენის, სიმტკიცის, მხარდაჭერის სიმბოლოდ ჩაესმის, არამედ აქაა სიცივის,*

ბედისწერის, განგაშის მტკივნეულად განცდა.“[ნიშნიანიძე რ. 2000; 276] პოეტს სწორედ ასეთი განწყობა ეუფლებოდა ზარის ხმის გაგონებისას:

„გარეთ ბინდია ქარის მაგივრად

და ზარი კივის საბედისწეროდ.“ [სამადაშვილი ნ. 2004; 62]

მკვლევარმა პოეტის არქივზე მუშაობისას მოიძია ერთი წერილი, ვახტანგ კოტეტიშვილისადმი მიწერილი. ვფიქრობ, საინტერესო იქნება თუ ჩვენს ნაშრომში მოვიყვანთ, რადგან ნ. სამადაშვილის დამოკიდებულებას „ზარების“ მიმართ კიდევ უფრო ნათელს და მკაფიოს გახდის: *„არაფერი არ მწამს, მაგრამ ზარების გლოვა რათა მხდის ცუდად დღესაც ვერ ავხსნი, ხან მგონია მიწაზე დაოსებული ადამიანი იქით მხრიდან ვიღაცას უძახის და ასეთ ფიქრში ურუანტელის ცეცხლი გულზე მეკიდება.“ [სამადაშვილი ნ. 2004; 477]* ალბათ, სწორედ ამ განცდითაა ნასაზრდოები ლექსი „შემოდგომა და ფილტვების სიყვითლე.“ მიუხედავად იმისა, რომ არც წერილის და არც ლექსის დაწერის თარიღია ცნობილი, რუსუდან ნიშნიანიძის მოსაზრებით, მათ შორის მტკიცე კავშირი არსებობს.

„გზებს მიჰყვებოდი სულგამწარებით,

სიცოცხლე გძულდა, სიკვდილი გერქვა,

მე კი მივრბოდი დედამიწისკენ,

რომ შემეწყვიტა ზარების რეკა.“[სამადაშვილი ნ. 2004; 64]

ამრიგად, ნ. სამადაშვილის შემოქმედებაში ზარის ხმა სევდასა და ტრაგიზმთან ასოცირდება. ხოლო სამრეკლოს, რომელიც მუდამ ადამინთა სადარაჯოზე უნდა იდგეს დაკარგული აქვს ფუნქცია. დადუმებულს, კრიჭაშეკრულსა და უხმოს არ ძალუძს გზაბნეული ცხვარი თავის მწყემსთან მიიყვანოს, ცოდვები მოანანიებინოს და ჭეშმარიტებისაკენ სავალ გზაზე დააბრუნოს.

თავი II

ღვთისმშობლის განსახიერების თავისებურებანი ნ. სამადაშვილის პოეზიაში

იმ უმთავრეს წმინდანთა შორის, რომლებისკენაც მიმართული იყო ჩვენი ხალხის ყურადღება, ერთ-ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს ღვთისმშობელს. მისი ხატება გასდევს ქართულ ხელოვნებას, ფრესკას, საგალობელს, ტოპონიმიკას და საერთოდ, მთელ ქართულ ცნობიერებას.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ პოეზიაში. უძველესი დროიდან მას უგალობდნენ ქართველი ჰიმნოგრაფები: იოანე მინჩხი, მიქაელ მოდრეკილი, დავით აღმაშენებელი, დემეტრე და სხვანი. ოდითგანვე მოიხსენიებდენ მფარველად, ნუგეშად და შუამავლად ადამიანსა და მაცხოვარს შორის. ქართულ საგალობლებში იგი დასახულია „ქალწულთა მშვენიერებად," „ზღუდედ და ნავსაყუდელად ყოველთა ქრისტიანეთა," „კაცთა დაბნელებული ბუნების განმაახლებლად." საეკლესიო პოეზიაში, რომელიც უამრავ საგალობელს მოიცავს, ასეთი წესია დადგენილი - მცირე ფორმის საგალობლის ან ჰიმნოგრაფიული კანონის ყოველი გალობა მთავრდება ყოვლადწმინდისადმი მიძღვნილი ტროპარით, რასაც „ღვთისმშობლისანი" ეწოდება.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს განადიდებს საერო პოეზიაც. მისი ხატება ჩანს ილია ჭავჭავაძის პოემებში „განდეგილი" და „აჩრდილი". აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავში" პოეტი ასე მიმართავს: „დედაო ღვთისავ! შენი ხვედრია ეს საქართველო დიდ ჭირნახული". ეს თემა აქტუალურია აგრეთვე თანამედროვე პოეზიაშიც. ცალკე კვლევის საგანია ღვთისმშობლის სახე გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში:

„დედაო ღვთისავ! მზეო მარიამ!

როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,

ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია

და შორეული ცის სილაჟვარდე.“ [ტაბიძე გ. 1966; 13]

ან კიდევ:

„და არ მშორდება ღვთისმშობლის ცქერა

სავსე ქართული პატიოსნებით.“

ეს სტროფი გალაკტიონ ტაბიძის 1920 წელს დაწერილი ლექსიდანაა, რომლის სათაურია „ტფილისი“. ლიტერატურის მუზეუმის მირ შექმნილ ვებ გვერდზე http://galaktion.ge (გვერდი შექმნილია გალაკტიონის არქივის მიხედვით და მოიცავს პოეტის მთლიან შემოქმედებას, პირადი წერილებისა და ჩანაწერების ჩათვლით) სწორედ ამ ფორმით შევძლებთ მის წაკითხვას, მაგრამ 1966 წელს გამოცემულ თორმეტტომეულში ამავე ლექსში ვკითხულობთ:

„და არ მშორდება თბილისის ცქერა,

სავსე ქართული პატიოსნებით.“[ტაბიძე გ. 1966; 31]

შესაძლებელია კი თბილისის მზერა „პატიოსანი“ იყოს, როცა ქალაქში უამრავი განსხვავებული აზროვნების და მისწრაფების ადამიანი ცხოვრობს?! როგორც ჩანს, ცენზურა გალაკტიონის გარდაცვალების შემდეგაც მოქმედებდა. კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ საბჭოთა ათეისტური იდეოლოგია ქრისტიანულ რელიგიას არ სწყალობდა.

გრიგოლ რობაქიძის ლექსში „წმინდა ნინო“ საქართველოში ქრისტიანული რელიგიის გამავრცელებელი ქალი ღვთისმშობლის დობილადაა დასახელებული:

„მცხეთას რომ მოგესმა ნელი ხმა ზეცითგან,

გული ღვთისმშობელის ჩვენთვის ხომ უხვია -

ჯვარი გამოსჭერი ვაზის ნასხლეევიდან

და ცხელი ჭრილობა თმებით შეუხვიე.“[რობაქიძე გ. 2012; 83]

სწორედ რომ ღვთისმშობლის გულუხვობის დამსახურებაა საქართველოში ქრისტიანობის საქადაგებლად კაბადოკიელი ნინოს წარმოგზავნა!

თანამედროვე პოეზიდან კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პოეტის ლექსი მინდა მოვიხმო, რომელიც, ფაქტობრივად, აღსარებას წარმოადგენს ღვთისმშობლისადმი და გაჯერებულია ცოდვისა და დანაშაულის განცდით. ესაა ბესიკ ხარანაულის „სირცხვილის შემდეგ“:

„და შენ დაგავიწყდი მე, მარიამ,

თითქოს რაიმე სიჩქარეში დაგრჩი სადმე და ვერ იხსენებ,

თითქოს სხვაგან გემყუდროვა

და აღარ გსურს ჩემი ხსენებით პირი იმწარო...“[ხარანაული ბ. 1979; 29]

უღვთისმშობლობა არა მარტო ერთი ადამიანის პირადი ტრაგედიაა, არამედ - მთელი ქვეყნის:

„დედა გვაკლია ყველას, დედა,

ეს კი არა, ნაოჭასხმული,

ის - დიდი დედა -

ქუთუთოებქვეშ შემნახავი ჩვენი სირცხვილის!“[ხარანაული ბ. 2007; 45]

ახლა კი მივუბრუნდეთ ჩვენს საკვლევ თემას და ვნახოთ, როგორ არის წარმოჩენილი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატება ნიკო სამადაშვილი პოეზიაში. პოეტის ახლო მეგობარი, ინგლისური ენის ჩინებული მცოდნე ქალბატონი ნათელა კეშელავა იგონებს: *„ნიკოს რელიგიასთან თავისებური დამოკიდებულება ჰქონდა. ისე გვესაუბრებოდა ღვთისმშობელსა და ქრისტეზე, თითქოს იმათ გვერდით იჯდა.“ [კეშელავა ნ. 2002; 53]* ეს უშუალობა და პირდაპირობა, რაზეც ქალბატონი ნათელა საუბრობს, ნიკო სამადაშვილის პოეზიაში ნათლად და მკაფიოდ იჩენს თავს. ხშირად მის მიერ დახატული მაცხოვარი და ღვთისმშობელი მოკლებულნი არიან ყოველგვარ დიდებულებას და ჩვეულებრივ ადამიანებად წარმოგვიდგებიან. აი, რას წერს ზაზა აბზიანიძე: *„პოეტმა საკუთარი მითოლოგია შექმნა. იგი წარმართის სითამამით დასეირნობს ბიბლიურ პანთეონში, სადაც ხან „გოლგოთის მთიდან მორეკილ ღმერთების ჯოგს“ გადააწყდება, ხან „შეშინებულ მოხუც*

მაცხოვარს“, ხან კი „გაბუტულ ღვთისმშობელს“. ის გაშინაურება და ფამილარობა, რაც სხვასთან მკრეხელობად მოგვეჩვენებოდა, სამადაშვილთან რაღაც იშვიათ სითბოს იძენს, ხოლო ბიბლიური და ქართული რეალიები, დროისა და სივრცის ნაზავი, სრულიად მოულოდნელ დამაჯერებლობას.“[აბზიანიძე 8. 2004; 527]

პოეტის შემოქმედებაში ერთ-ერთ განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ლექსი „ატენის სიონი“. ავტორის მხატვრული ოსტატობის ასპარეზად ქცეულა მდინარე ტანას მიდამო. პირველ სტროფში გვიყვება, თუ როგორი უდაბური და უკაცრიელი იყო ეს ადგილი, სანამ აქ მრევლი დაიწყებდა სალოცავად სიარულს:

„დასაბამს ბოლოს აქ ტყე ბუდობდა

პირქუში, როგორც ამაოება.

შეხიზნებოდა მთებს ქურდებივით

გამოქვაბული და მყუდროება.“ [სამადაშვილი ნ. 2004; 205]

თითქოს ერთმანეთს ერწყმის წარმართობა და ქრისტიანობა. „გაუთენარი გზების ბოლომდე უფლის მობარბაცე ნათელს“ მეტოქეობას უწევენ „გაღმა ბორცვიდან მთვლემარე კერპები“, ე.ი, ჯერ კიდევ არაა დაძლეული წარმართობა. მდინარე ტანა ერთ დროს „ბნელ სასუფეველს“ ჩაუდიოდა, მაგრამ ახლა აქ შევხვდებით მოციქულებს, „აღთქმით დაღლილებს.“ არც ქართლის მოქცევის კვალი არაა გამქრალი:

„წარმართთა ძვლებზე იდგა ტაძარი,

ზევით ლეგენდა მიჰქონდათ მთიებს,

ძირს წმინდა ნინოს ნაფეხურები

ჰგავდნენ სისხამზე მოკრეფილ იებს.“[სამადაშვილი ნ. 2004; 205]

„სწორედ იმის გამო რომ ატენის ეკლესიას სიონი ეწოდება და როგორც ყველა სიონი, ისიც ღვთისმშობლის სახელობისაა. პოეტი ტაძრის ეზოში წარმოადგენს ღვთისმშობელს,

როგორც მთავარი, იერუსალიმის სიონისა და კერძოდ, ატენის სიონის ჭეშმარიტ დიასახლისს"[კიკნაძე 8. 2017; 174]:

„ქრისტემ ბავშვობა აქ გაატარა

და ღვთისმშობელი უგვიდა ეზოს." [სამადაშვილი ნ. 2004; 205]

„ეს ხილვა ტაძრის ეზოში შემთხვევითი არაა. იგი ღრმად უკავშირდება ბავშვობის წიაღს - ღვთისმშობელი, ვითარცა ხატი ყოველდროული დედისა."[კიკნაძე 8. 516] იგი გამოჩნდება ლექსში „ნიკო სამადაშვილს" - „შენ ძუძუს სწოვდი გაშლილ ალუჩებს და ღვთისმშობელი აკვანს გირწევდა."[სამადაშვილი ნ. 2004; 7] ისევე, როგორც ზემოთ განხილულ ლექსს „ბეთანია", ამ პოეტურ ქმნილებასაც მოეპოვება პროზაული ესკიზი, სადაც ნ. სამადაშვილი წერს: *„იქნებ, სეფისკვერით გაზრდილმა ქრისტემ თავისი ბავშვობა სიონის ეზოში გაატარა და როცა მირონცხებული ღვთისმშობელი ურწევდა აკვანს, ფეხაკრეფილი ირმები რქებგადაყრილ ნისლებიდან ღვთაებრივ იავნანას უსმენდნენ?! იქნებ, ამ დროს, ბუმბერაზ ტყის მყუდროებაში ჭოტი კიოდა. იქნებ, სიონის თაღებმორთულ ტაძარში სინათლის შუქი იფრქვეოდა და ხანშესული მოგვები მძინარე ქრისტეს გეთსიმანიის ხეებივით მისჩერებოდნენ."[სამადაშვილი ნ. 2004; 342]*

ყურადღებას იპყრობს შემდეგი ორი სტრიქონი:

„ვით უკვდავება წყარო ანკარა

აცისკროვნებდა ირმების ფერდობს."[სამადაშვილი ნ. 2004; 205]

ეს სტრიქონები შთაგონებულია 41-ე ფსალმუნით: *„ვითარცა სახედ სურინ ირემსა, წყაროთა მიმართ წყალთასა, ევრე სურინ სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო!" [ფსალმუნი 41; 2],* ამავე დროს კი იგი ეხმიანება იმ ბარელიეფის, რომელიც გამოკვეთილია ტაძრის აღმოსავლეთ კედელზე, სადაც წყაროს დაწაფებული ორი ირემია გამოსახული. ფსალმუნის რემინისცენცია პოეტის სხვა ლექსშიც გამოჩნდა:

„გარეთ ირმები წყაროს სვამენ თეთრი ბარძიმით,

სივრცისკენ მოსჩანს გადაწყვეტილი მერცხლების სიმი." [სამადაშვილი ნ. 2004; 258]

დასასრულს კი - წარმართთა ძვლებზე მდგარი ატენის „სიონში მრევლის ტევა არ იყო, გარეთ გალობდნენ მწირი ბერები.“ ხოლო მოხუცი ღმერთის აქ ნათქვამ სიტყვებს „სამრეკლო ღამე იმეორებდა.“

როგორც მართლმადიდებლურ ხატწერაში, ოდიგიტრიისა და ელეუსას ფორმაში ღვთისმშობელი ყრმით არის წარმოდგენილი, სამადაშვილის შემოქმედებაშიც ხშირად არიან განუშორებლად, ერთად ყრმა მაცხოვარი და ყოვლად უბიწო ღვთისმშობელი: „ფანჯრებთან ატმის ტოტი ყვაოდა და ღვთისმშობელი ყმას დაჰყვებოდა.“ [სამადაშვილი ნ. 2004; 15] აყვავებული ატმის ტოტი სულიერი განახლების სიმბოლოდ შეგვიძლია მივიჩნიოთ. „ენთო სანთლების ქათინაური და ღვთისმშობლის წინ ბალღი დარბოდა“ [სამადაშვილი ნ. 2004; 27] ღვთისმშობლის წინ მორბენალი ბალღი, რა თქმა უნდა, მაცხოვარია. იესოს ბავშვობის შესახებ სახარება არაფერს გვეუბნება. ყრმობის ამბები მხოლოდ აპოკრიფულ ტექსტებშია შემორჩენილი, რომლებიც კანონიკურად არაა აღიარებული. ნ. სამადაშვილი თითქოს აცოცხლებს ქრისტეს ბავშვობას, რომელიც ალბათ მართლა დარბოდა ღვთისმშობლის დაგვილ ეზოში, აკვანსაც ურწევდა „დიდი დედა“ და, როცა სარკმელში ღამე შემოიხედავდა, „მანდილსაც გადააფარებდა“ მძინარე იესოს.

პოეტი ხატავს დამწუხრებულ, მოტირალ ღვთისმშობელსაც:

„მწუხრის ტრაპეზთან შუბლი გიელამს,

ღვთისმშობლის მხრებზედ შავი ჩადრია,

ბერი მონასტრის ბალახსა სცელამს

და დაისები მწკრივად ჩადიან.“ [სამადაშვილი ნ. 2004; 83]

ტრაგიკულობის განცდას იწვევს ღვთისმშობლის მხრებზე შავი ჩადრი, რასაც თან ერთვის მწუხრის ჟამს „დაისების მწკრივად ჩასვლა.“

„შორს მონასტერმა ჩამოჰკრა ზარი

და ღვთისმშობელმა შუაღამისას,

თითქოს ტირილით შეაღო კარი.“ [სამადაშვილი ნ. 2004; 122]

„მოდარაჯე თვალი“ ახლაც ცხადლივ დაინახავს, „ღვთისმშობელი სარკმლიდან აშარ სეფიკვერს ქრისტეს ჩუმად როგორ გადმოაწოდებს“ (ლექსიდან „ეზო“) უცნაურ შინაარსობრივ დატვირთვას იძენს აქ სიტყვა „ჩუმად“, თითქოს იგი ასაიდუმლოებს ქრისტეს და ღვთისმშობლის ცხადად არსებობას და პოეტის წარმოსახვად აქცევს. ან, იქნებ, „ჩუმად“ უბრალოდ უხმობას ნიშნავს და სხვას არაფერს?! ზოგჯერ ჰარმონიული ურთიერთობა ირღვევა და:

„აქ ღვთისმშობელი დადიოდა ადრიან დილით,

ქრისტეს სწყევლიდა და რაღაცას სულ აყვედრიდა“.[სამადაშვილი ნ. 2004; 154]

ზემოთ თქმული, რომ პოეტი „წარმართის სითამამით“ უშინაურდება „ბიბლიურ პანთეონს“, კიდევ ერთხელ მტკიცდება ლექსში „მოგონება და სინანული“.

„გამოქვაბულთან ზარის რეკა დაიგუგუნებს,

ღვთისმშობელს ცაცხვის ქვეშ დარჩება თეთრი ქოშები

მნათეს ძახილი შემოსწყდება ციხის ქონგურებს,

ბალდახინები იცეკვებენ ძირს მარმაშებით.“[სამადაშვილი ნ. 2004; 239]

ზარის ხმაზე სალოცავად აჩქარებულ ღვთისმშობელს ქოშებიც კი ავიწყდება და ფეხშიშველი მიდის ტაძარში.

ქართულ ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს ღვთისმშობლის წილხვედრობის თემას. ძალიან ბევრი პოეტი სწორედ მას სახავს ქვეყნის ნუგეშად და სწამს, რომ მისი მეოხებით კიდევ უამრავ განსაცდელს გავუძლებთ. ლექსში „ჩემი თბილისი“ ნ. სამადაშვილი თავისი სამშობლოს საუკეთესო მცველად და მფარველად ღვთისმშობელს მიიჩნევს, სწორედ „წმინდა დედას“ გადმოუფარებია კალთა და „ხელში აუყვანია“ თბილისი.

„ჩემ საქართველოს სიდიადეს რა შეედრება,

ღვთისმშობლის დარად რომ უჭირავს ხელში თბილისი!“[სამადაშვილი ნ. 2004; 249]

ნ. სამადაშვილის შემოქმედებაში არის ერთი ლექსი, რომელსაც „უსურათო“ ჰქვია. ღვთისმშობლის სახე აქ ყოვლად განსხვავებულადაა წარმოდგენილი: „მტრედები ლოცვებს ჩუმად კენკავდნენ და ღვთისმშობელი ყრუ გზებს მისდევდა.“[სამადაშვილი ნ. 2004; 201] ცოტა გაუგებარია, რატომ უნდა იყოს ღვთისმშობლის მიერ განვლილი გზა „ყრუ“. თუ ამ სტრიქონს კონტექსტიდან ამოვგლეჯთ და მთლიან ტექსტთან ერთად არ განვიხილავთ, შესაძლოა მართლაც გაუგებარი იყოს. დავაკვირდეთ ჯერ ლექსის სათაურს - „უსურათო“. ის, რასაც პოეტი ამ ნაწარმოებში აღწერს, თავდაყირა აყენებს რეალობას. კანონზომიერება დარღვეული და ჰარმონიულობის სრულიად საპირისპირო მდგომარეობაა:

„ღმერთებს აბამდნენ ხის ქვეშ თოკებით,

ხალხზე იწევდნენ თურმე საწყლები...

ქვეყანა იწვა გაყრილ ხიშტებით

და ყორნებივით ჩხაოდნენ წლები.“[სამადაშვილი ნ. 2004; 201]

სიონის ზარები ისევ მძიმედ რეკავენ. „ცა და კამარა იღრუბლება ავდრის მოლოდინში“, ამ დროს კი „უპატრონოდ დარჩენილი ბავშვები დედებს ეძებენ სადღაც.“ ნიკო სამადაშვილის ეს ლექსი, იმ ავანგარდისტულ ნახატს გვაგონებს, სადაც მთელი ნაწილების სწორი შეხამება დარღვეული და დანაწევრებულია, სადაც ქაოსი და სრული დისჰარმონია სუფევს. უღმერთოდ დარჩენილ სამყაროში „სევდა ცვივა“ და „ღვთისმშობელიც ყრუ გზებს მისდევს.“

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ნ. სამადაშვილის მიერ დახატული ღვთისმშობლის სახე სრულიად განსხვავებულია. თუ შევადარებთ, ვნახავთ, რომ ის არ ჰგავს არც იმ საგალობლების პერსონაჟს, რომელსაც განადიდებენ ქართველი ჰიმნოგრაფები და არც სამოციანელთა თაობის მიერ შექმნილ მხატვრულ სახეს, საქართველოს მფარველობას მარად რომ შესთხოვენ.

თავი III

„საუკუნეებს მაცხოვარი გაჰყვება მეხრედ...“

აკადემიკოსი გურამ ხარატიშვილი იგონებს, თუ რა დიდი ზემოქმედება მოახდინა მასზე ნიკო სამადაშვილის ლექსებმა, როცა პირველად მოსმინა. *„განვცვიფრდი. ქვეცნობიერმა სახარება ამოაკრთო, რომელიც პაპაჩემის სასთუმალთან დაუნჯებული წიგნი იყო“.[ხარატიშვილი გ. 2002; 30]* უბრალო მკითხველსაც კი ადვილად შეაცნობინებს, თუ რაოდენ ძლიერადაა მის შემოქმედებაში ქრისტიანობა. თუმცა ხშირად ის არა ღმერთს, არამედ „ღმერთებს“ მოიხსენიებს: „ღმერთების ჯოგი გოლგოთაზე გელანდებოდა“. „ღმერთებს“ ჩვენ წარმართულად აღვიქვამთ, ამით გაცხადებულია ის, რომ ჩვენს სულში წარმართობა კვლავ დასაძლევია.

„არის ზეციური სამყარო და არის რელობა ამა ქვეყნისა. მათ შორის ხილული და უხილავი კავშირებია. ხან ზეციდან ეფინება ღვთიურობა ქვეყნიერებას, ხანაც ქვეყნიერება აღმოაცენებს ზეცისაკენ ასამაღლებელ სიკეთეს. ეს მიმოქცევა გაივლის ხოლმე ადამიანის სულსა და გულს და როცა ეს ჭირს, პოეზია შეგვეშველება ხოლმე, ნ. სამადაშვილისთანა პოეზია.“[სირაძე რ. 2011; 55]

წინა თავში, როდესაც ჩვენ ღვთისმშობლის სახე-სიმბოლოზე ვსაუბრობდით, მასთან ერთად წარმოვაჩინეთ ყრმა იესოც, ამიტომ ამ თავში ამ საკითზე აღარ შევჩერდებით. ჩვენი კვლევის მიზანი იქნება, თუ როგორ არის გამოვლენილი მაცხოვრის, ქრისტეს სახე ნ.

სამადაშვილის შემოქმედებაში, რა კონკრეტული სათქმელის გადმოსაცემად მიმართავს პოეტი უფლის ენიგმას.

უღმერთოების, ურწმუნოების განცდა სამადაშვილის პოეზიაში ხშირად იჩენს თავს. თუ ღმერთი არ ჩანს ქმნილებაში, ეს იწვევს ადამიანის და სამყაროს ფუტუროობას, სიცოცხლის უაზრობას და ზედმეტობის გრძნობას: *„ფუტურო სხეულს გულის სიზმარი შერჩება როგორც გოლგოთის თხრილი“.* თემო ჯაფარიძე იმასაც კი ამბობს, რომ *„იგი* (ნ. სამადაშვილი) *ქრისტიანია, მაგრამ ისეთი ქრისტიანი, რომელიც ქრისტიანობის ტრადიციულ ფორმას ემშვიდობება და ახალ ქრისტეს ეძებს.“ [ჯაფარიძე თ. 2004; 556]*

ყველა ქრისტიანისთვის მაცხოვარი იმედის, ნუგეშის და რწმენის მომტანია, მაგრამ - არა ნიკო სამადაშვილისთვის. მის ლექსებში ხშირად გამოკრთის უიმედოდ დარჩენილი ლირიკული გმირის სევდა. ერთია, როცა მეგობრებისგან და ახლობლებისგან მიტოვებულად გრძნობ თავს, მაგრამ სულ სხვაა უღვთოდ, რწმენის გარეშე დარჩენა:

„მე არც ქრისტესგან მოველი შველას,

ის მაცდურია, ისე ვით ბუდა,

ვეთაყვანები მე ხალხის წყევლას,

ჩემში შერისხვის მთამ დაიბუდა.“[სამადაშვილი ნ. 2004; 223]

„ისევ ვილოცებ, იქნებ, ღმერთმა მაინც მიშველოს“ - ამბობს ლირიკული გმირი, საღამო ხანს მართლაც ესტუმრება ტაძარს, სანთლების შუქზე გულმხურვალე ლოცვას იწყებს მაგრამ აი, რა ხდება:

„სამრეკლოს ზევით - დასაქცევი ცა იღრუბლება,

ქრისტე იცინის, გარეთ გადის და მარტო მტოვებს.“[სამადაშვილი ნ. 2004; 110]

იგი არა მარტო ქრისტეს უნუგეშობას განიცდის, არამედ - თავისი სამშობლოს უნუგეშობასაც: „ჩემო სამშობლოვ, ნეტა რაზე გადამემტერე? იცოდეს ღმერთმა რომ ცრემლებსაც კი გარიდებდი“. [სამადაშვილი ნ. 2004; 111] თავის სამშობლოს ემდურის რომ ზედმეტსახელად „პოეზიის გერი დაარქვა“ და მოსწყვიტა შემოქმედებით პროცესს.

ზოგჯერ მისი ლექსების ლირიკული გმირი ქრისტესგან წყევლასაც კი იმსახურებს საკუთარი ურწმუნოების გამო:

„ქვეყნიერებას უცქეროდი ათასნაირად,

წარმართ თვალებზე ქრისტეს წყევლა გქონდა აკრული,

მთვარე დაისით გაგითბია, როგორც დაირა,

და ანგელოზებს ულანძღიხარ მუხლებ-დაზრული.“[სამადაშვილი ნ. 2004; 49]

პერსონაჟი თითქმის დარწმუნებულია, რომ „ჯვარცმაც“ კი არ წყალობს და მის ხერხემალს სალამურად გამოიყენებს არმაზის კერპი ან „ქარების ტიალი დოღი.“ ერთ-ერთ უსათაურო ლექსში ლირიკულ გმირად ქცეული ნ. სამადაშვილი კვლავ მარტოობას, უღმერთოდ დარჩენას განიცდის. თითქოს უყვარდა ქრისტეს და მოელოდა კიდეც „მარადისობის უდაბნოში“, მაგრამ საპირისპირო რამ იჩენს თავს, უფლის სიყვარულთან ერთად, „ქრისტეს რისხვა ჩამდგარა მის თვალებში“:

„რა მარტო დავრჩი, ჩემო ნუგეშო,

ვიღა აანთებს ჩემს გულს ჭაღებით.“ [სამადაშვილი ნ. 2004;118]

ამ სტიქონების გაცნობის შემდგომ დაისვა კითხვა: ხომ არ განიცდის ნ. სამადაშვილის შემოქმედება ნიცშეანური ფილოსოფიის გავლენას? რევაზ სირაძე მოკლე ნარკვევში ცალკე გამოყოფს საკითხს „ნ. სამადაშვილის მიმართება ნიცშესთან.“ მისი აზრით, პოეტის სახისმეტყველებითი ასპექტები აშკარად გვაფიქრებინებს სიახლოვეს ნიცშესთან და მაგალითად ასახელებს რამდენიმე სტროქონს, სწორედ იმას რაც ჩვენ უკვე დავასახელეთ ზემოთ. („წარმართ თვალებზე ქრისტეს წყევლა გქონდა აკრული“, „თან ქრისტეს რისხვა გედგა თვალებში“.) ასევე, ასახელებს ლექსს „შეხვედრები დღის ბოლოს“, რომელიც პოეტმა თავის მეგობარს - ვასო მურვანიძეს მიუძღვნა, კერძოდ კი - ბოლო სტროფს :

„დღეს მაცხოვარი როგორ ვიწამო

როცა ის ცეცხლი შენშიც მკვეთრია.

სად დავისვენოთ, მითხარი ძმაო,

როცა ერეკლეც საგიჟეთია!“ [სამადაშვილი ნ. 2004; 221]

გარდა ამისა, მკვლევარი საუბრობს ერთ მეტად საყურადღებო გავლენაზეც. ნიცშეს მიხედვით, ადამიანი არის ის, რაც უნდა დაიძლიოს. *„მის ფილოსოფიაში მკვეთრად იჩენს თავს თვითუარყოფა, თვითგვემა, რაც ლამის სალოსობამდე მიდის.“[სირაძე რ. 2011; 63]* თვითუარყოფა და თვითგვემა მართლაც ჩანს ნ. სამადაშვილის პოეზიაში. „მარტოოდენ პოეტი, მარტოოდენ სულელი“. საკუთარ საქმიანობას ხან „ლექსების ჯღაბნას“ უწოდებს, ხან კიდევ - „ბოდვას“, საკუთარ თავს კი „ბავშვობიდან დაკარგულ“ ან „სიცოცხლეში ადრე დაღამებულ“ პოეტად მოიხსენიებს.

პოეტის ქალიშვილი, მზია სამადაშვილი იგონებს: *„მამა ერეკლე ტატიშვილის მოწაფეებთან მეგობრობდა. მეგობართა ამ წრეს ბატონი ერეკლეს „მრევლს“ უწოდებდნენ.“[სამადაშვილი მ. 2002; 39]* ძალიან მალე ეს ურთიერთობა დიდ მეგობრობაში გადაიზარდა. გაიოზ იმედაშვილი, ერეკლე ტატიშვილის მოსწავლე გვიყვება ამ ურთიერთობის დეტალებს. მისი აზრით, ნიკო სამადაშვილის როგორც პოეტის აღმოჩენა სწორედ ერეკლეს დამსახურებაა. *„იგი (ერეკლე ტატიშვილი) დაბეჯითებით გვიმტკიცებდა, რომ სამადაშვილი არის დიდი პოეტი და საყურადღებო არამხოლოდ საქართველოს მასშტაბით. ამის გააზრება მაშინ მიახლოვებითაც შეუძლებლად მიგვაჩნდა, მაგრამ დრომ გვიჩვენა, რომ ეს დიდი აღიარება უსაფუძვლო არ ყოფილა.“ [იმედაშვილი გ. 2002; 42]*

ერეკლე ტატიშვილის სახელთანაა დაკავშირებული უნივერსიტეტში საერთაშორისო კერძო სამართლის სწავლება, შემდგომ კი - დასავლეთევროპული ენების კათედრის ჩამოყალიბება. მან თარგმნა ფრიდრიხ ნიცშეს „ასე იტყოდა ზარატუსტრა“, აგრეთვე ავტორია არაერთი საინტერესო ლიტერატურული ნარკვევისა. მკვლევარი რუსუდან ნიშნიანიძე აღნიშნავს, რომ ამ ორი გამორჩეული პიროვნების ურთიერთობა ჯერ კიდევ გორის სასწავლებლიდან დაიწყო და სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა. ტატიშვილის საფლავს სწორედ ნიკომ დაადო გათლილი ქვა, მოუარა და უპატრონა. *„მასწავლებელი საინტერესო გაკვეთილებითა და საუბრებით აღვივებდა ჭაბუკის*

ცნობისმოყვარეობას და უამრავი შეკითხვის წინაშე აყენებდა. მან დიდად შეუწყო ხელი თავისი მოწაფის ჰორიზონტის გაფართოებას."[ნიშნიანიძე რ. 2000; 327] ნ. სამადაშვილის პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მიძღვნითი ხასიათის ლექსებს. მათ შორისაა ერეკლე ტატიშვილისადმი მიძღვნილი ლექსებიც. პოეტი აღმერთებდა ერეკლეს, მას „კაცი ფასკუნჯი" დაარქვა:

„აგეკვიატე, ნეტა რა ჭირად?

შენ რას აგწერდა რემბრანტის ფუნჯი.

ამ დროს ხელებში გველი გიჭირავს,

და თვალებიდან მოჩანს ფასკუნჯი."[სამადაშვილი ნ. 2004; 149]

ზემოთ მოყვანილი სტრიქონებიც „წარმართ თვალებზე ქრისტეს წყევლა გქონდა აკრული", სწორედ ერეკლე ტატიშვილს მიემართება. ნიცშეს სახელიც მისადმი მიძღვნილ ლექსებში ჩნდება:

„აქ არის რაღაც მწველი სიამე,

გულს რომ ჩასტირი და იმალები.

შენი საკანი ან ზღვის ღამეა,

ან დაღუპული ნიცშეს თვალები."[სამადაშვული ნ. 2004; 149]

პოეტი ტატიშვილთან გატარებულ იმ დღეებს, როცა თავს იყრიდნენ ახალგაზრდები და ვინ იცის, ალბათ, ბევრ საჭირბოროტო საკითხზე მსჯელობისას ღამეებიც კი უთენებიათ, ასე იგონებს:

„შენ რომ მრევლი გყავს, ისე ამოდის

როგორც შერისხულ მლოცველთა ხროვა,

იწყება ჭმუნვა მორთხმულ მოგვების

და შორიახლო ავდრების გლოვა."[სამადაშვილი ნ. 2004; 149]

საინტერესო იქნება ამ კონტექსტში მოვიყვანოთ ერთი ფრაგმენტი წერილიდან, რომელსაც ერეკლე ტატიშვილი უგზავნის ნიკო სამადაშვილს: *„შენ ეძებ ადამიანს - ჭეშმარიტებას: ვინ ჰპოვა, ან ვის შეეძლო. ვერ ხედავ თვალუწვდენელ ციცაბო კლდესთან ხარ და არ გინდა უკან მოიხედო - ის რაც ადამიანს დასაბამიდანვე აწუხებდა, ის პილატეს სამსჯავროში გადაწყდა ერთი კითხვა-პასუხით წარმართ რომაელსა და ქრისტიან ქრისტეს გამოხმაურებით.... არა, ნიკო, ქრისტე არ შემცდარა და არც აჩქარებულა, მან ერთი გრძნეული გახედვით განჭვრიტა მარადიული საკითხი და თქვა ის რის თქმასაც ასე აშკარად ვერავინ ბედავდა: მე ვარ ჭეშმარიტება და ამის იქით გზა-კვალი არ მოსჩანს.“[სამადაშვილი ნ. 2002; 487]* მხოლოდ ქრისტე და ქრისტეს მიერ განვლილი გზა შეიძლება იყოს ჭეშმარიტება, დანარჩენი ყველაფერი მოჩვენებითია.

შესაძლოა, ვიფიქროთ, რომ ნ. სამადაშვილი იცნობდა თავისი დიდი მასწავლებლისა და მეგობრის მიერ ნათარგმნ ნიცშეს ერთ - ერთ გამორჩეულ ნაშრომს „ასე იტყოდა ზარატუსტრა: წიგნი ყველასთვის და არავისთვის“ - ესაა სრული სათაური ამ ფილოსოფიური ნოველისა, რომელიც ოთხი ნაწილისაგან შედგება. ნამუშევრის უმეტესი ნაწილი ეხება ისეთ თემებს, როგორებიცაა: „კვლავდაბრუნების იდეა“, „ღმერთის სიკვდილი“ და „ზეადამიანის წინასწარმეტყველება“. ღმერთის სიკვდილის თემას ნიცშეს ფილოსოფიაში შემოაქვს ტრაგიკული მოტივები. იდეალური სამყარო დაინგრა, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანს გამოეცალა საყრდენი. იგი რჩება ორიენტირების გარეშე. თუ ღმერთი მოკვდა, ღმერთის არსებობით გამართლებული ღირებულებები, რასაც აქამდე ადამიანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, კარგავს ფასს. სწორედ აქ შემოდის ცნება ნიჰილიზმი. ნიცშეს მიხედვით, ნიჰილიზმი არის „არას“ თქმა ყველაფერზე, რაც აქამდე აზრს აძლევდა სამყაროსა და ადამიანის არსებობას. ნიჰილიზმში ვლინდება იმედგაცრუება.

ნიკო სამადაშვილის შემოქმედებაში ღმერთის სიკვდილის თემა ნამდვილად ჩანს და საკმაოდ მძაფრადაც. „ხვალ ლაჟვარდები ტყეში ჩამოვლენ, ჩამოიტანენ ღმერთს მიცვალებულს“ [სამადაშვილი ნ. 2004; 240] ამ თვალსაზრისით, ძალზე საინტერესო ლექსია „კამარების შეჭმუხვნა“ :

„უჯიშო ხიდან გამოთლილი ხარ,

აღთქმასთან მისვლა როგორ გაჭირდა,

მე გავიგონე ღმერთის ღრიალი

არმაზის კერპი ყელს როცა სჭრიდა.“ [სამადაშვილი ნ. 2004; 31]

ღმერთი ყელგამოჭრილი და დამარცხებულია წარმართული კერპ-ღვთაება არმაზისგან. ამიტომ:

„ეს დედამიწა ხვნეშის სივრცეში

ანგელოზები ოშკში ბოზობენ...“[სამადაშვილი ნ. 2004; 31]

არმაზის კერპის მოხმობა, ვფიქრობ, ეპოქისეული ნიშნითაა განპირობებული და ტოტალიტარულ რეჟიმს უნდა აღნიშნავდეს, რომელმაც ბევრი მოაზროვნე ადამიანი გიჟად შერაცხა და „მერე ბოძზე დააბა.“ თავად პოეტსაც სამშობლომ , როგორც თვითონ ამბობს, „დედინაცვალმა საქართველომ“ ,,,თავი უტკიცა სამიკიტნოში.“

მის მიერ დახატულ ღმერთს, ხშირად შეშლილს, თოკებით აბამენ. ზოგჯერ თვითონაც შეშინებულს „სახლის სხვენზედ, შეშლილი ღმერთი დაუმალია.“ მაგრამ ღმერთთან სიახლოვემ შვება ვერ მოჰგვარა, „შუბლიდან მწუხრი არ მოშვებია“. სახეპყრობილს, მარცხენა თვალით სამყაროს შემოქმედისთვის რაღაც უნიშნებია კიდეც, მაგრამ კითხვა კვლავ კითხვად რჩება: „სად არის, ნიკო, ბედნიერება, სად მივალთ ძმაო, სად ვილტვით ნეტა.“ შეშლილია არა მარტო ღმერთი, არამედ ღვთისმშობელიც:

„ლეექსს ღვთისმშობელი აწოვებს ძუძუს,

ძუძუს აწოვებს თვალებ შეშლილი,

ბებერი ღმერთი მოჰყვება ძუნძულს,

შეიშრიალებს შიშით ხეხილი“.[სამადაშვილი ნ. 2004; 228]

პოეტის ღრმა რწმენით, სამყარო უსინათლო და განუკითხავია. ირგვლივ ზარდამცემი სიცარიელე სუფევს. ადამიანები „გარეთ გადასაყრელ ნაცარს დამსგავსებიან“ . ორიენტირების გარეშე დარჩენილი წუთისოფლის მგზავრი „მაცხოვრის ხატს ქირდამს,

შავგვრემან ფიქრში მთელი სახე ამოთხუპნული.“ ბედნიერება, სიკეთე, ნუგეში, ბოროტება, სინანული, ტანჯვა - ყოველივე ეს „ღმერთების მოგონილი ბოდვა ყოფილა“ .

ხანდახან ლირიკული გმირი იმედს ბოლომდე არ კარგავს. ერთ უსათაურო ლექსში, როცა მწვავედ განიცდის „ქუჩის ბოგანოდ ყოფნას“, ის რომ სამშბლოზე მუდამ ნაწყენია, მხოლოდ ღმერთმა იცის ამის მიზეზი:

„აბა რა ვიცი, რათ შემრისხეს, ან რათ ჩამქოლეს?

ეს იცის ღმერთმა, თუ კი სადმე ჯერ კიდევ ბორგავს,

და თუ ჯერ კიდევ ყრუთ უნთია თეთრი სანთელი.“[სამადაშვილი ნ. 2004; 141]

„ღმერთები“ და არა ღმერთი. ხშირად სამყაროს შემოქმედს მრავლობით რიცხვში მოიხსენიებს. „ღმერთები“ რომ ქრისტიანისთვის წარმართობასთან ასოცირდება, ეს უკვე ვთქვით და ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე კონტექსტი უკვე განვიხილეთ. ლექსში „ნაცარი“ პოეტი საკუთარ ორეულთან საუბრისას ამბობს:

„შენს შესანდობარს გადაჰკრავენ ხარის ყანწებით,

რამდენს ბოდავდა, უმიწაწყლო, ზარების გიჟი

საყდრის ეზოში დაეძებდა იებს, და წლები

ეჩხუბებოდნენ და ღმერთებთან მიჰყავდათ შიშით“. [სამადაშვილი ნ. 2004; 129]

ია ქრისტიანულ მოძღვრებაში ასოცირდება ქრისტეს ამქვეყნიურ ცხოვრებასთან, მის მიერ გაკვალულ გზასთან. სწორედ ამ გზას დაეძებს ლირიკული გმირი „საყდრის ეზოში“, მაგრამ ვერ პოულობს. ერთ-ერთ ლექსში იგი ხვდება კიდეც ღმერთებს პირისპირ „არ მოგეწონა, რო შეხვდი ღმერთებს, და გაუხვიე სივრცეებს ცერად.“[სამადაშვილი ნ.2004; 54]

უფლისგან მიტოვებულობის განცდითაა ნასაზრდოები შემდეგი სტრიქონი: „შენ თითქოს ღმერთებს თვლაში გამორჩი, შენ ვარსკვლავივით მოწყდი ქვეყანას“. [სამადაშვილი ნ. 2004; 54]

ნ. სამადაშვილის პოეზიაში ერთმანეთის გვერდით არიან ნახსენები ქრისტე და ბუდა:

„ ო, მოჩვენებავ! გათანგულ ბუხარს

შემოსხდომოდნენ ქრისტე და ბუდა!

მხრებზე ფარაჯა წამოეხურათ,

გვერდზე მიედოთ საგზალი გუდა.“[სამადაშვილი ნ. 2004; 88]

ორი ღმერთი, ერთი ბუდისტური რელიგიისა, ხოლო მეორე - ქრისტიანობისა ბუხარს შემოჯდომია, პოეტი ისეთ სურათს გვიხატავს, თითქოს ერთი ქრისტიანობის საქადაგებლად მიემართება, ხოლო მეორე - ბუდიზმის. თავისი მეგობრის, ლექსო ივანიშვილისადმი მიძღვნილ ლექსში საკუთარ თავს „ბუდას მოჯამაგირედ“ აცხადებს: „შენ ეყოლები ქრისტეს ფარეშად, და მე კი ბუდას მოჯამაგირედ.“[სამადაშვილი ნ. 2004; 59]

პოეტი მაცხოვარს კიდევ ერთხელ გვიხატავს შეშინებულს: „შეეშინდება მოხუც მაცხოვარს და ფაშარ ლოცვებს კუნჭულში იტყვის“.[სამადაშვილი ნ. 2004; 75] „ფაშარი ლოცვა“ - ე.ი, ქრისტეს ლოცვამ ძალა დაკარგა, ისე გულმხურვალედ აღარ ლოცულობს როგორც აქამდე. ნ. სამადაშვილი იქამდეც კი მიდის, რომ ლირიკულ გმირს ათქმევინებს „იქნებ ქრისტესაც მოსწყინდა ლოცვა და ანგელოზებს დაუტატანა“.[სამადაშვილი ნ. 2004; 183] პოეტისათვის მაცხოვარი მოხუცია, მაშინ, როცა ბიბლიის წიგნები გვეუბნება, რომ იგი 33 წლისა აცვეს ჯვარს. მისი ამქვეყნიური ცხოვრება ახალგაზრდა ასაკში დასრულდა.

ნ. სამადაშვილის შემოქმედებაში მართლაც ჩანს რწმენის კრიზისი. შესაძლოა, პოეტი ეძებს ღმერთს, ქრისტეს. ახალი ეპოქის ადამიანი, მათ შორის ნ. სამადაშვილის პოეზიის ლირიკული გმირი, გრძნობს ახალი ხსნის აუცილებლობას. *„რა თქმა უნდა ახალი ხსნა პირობითი გაგებაა, ღვთის შვილის, ადამიანის ცოდვის გამოსყიდვა ჯვარცმა და ჯვარცმულის აღდგომა მხოლოდ ერთხელ შეიძლება მოხდეს.“ [ჯაფარიძე თ. 2004; 555]* ჩემი აზრით, პოეტის მსოფლმხედველობის ტრაგიკულობას ამძაფრებს ის ფაქტიც, რომ იგი ცხოვრობდა საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის ხანაში, როცა ქრისტიანული რელიგია

დევნასა და უარყოფას განიცდიდა. რა თქმა უნდა, მისი პოეზია დიდ ტკივილსაც შეიცავს ტრადიციული ღმერთის დაკარგვის გამო და ეს ყველაფერი გარკვეულწილად ბოლშევიკური რეჟიმის ბრალიცაა. ყველა თავისუფლად მოაზროვნე ადამიანისთვის ქრისტიანული რელიგია უდიდეს ძალასა და საყრდენს წარმოადგენდა. ნ. სამადაშვილის ლექსებში პირდაპირი მისამართით არსად არიან ნახსენები, არც კომუნისტები, არც დევნა და შევიწროვება, მაგრამ, შესაძლებელია, რომ პოეტის მწუხარების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ბოლშევიკების მიერ ქართული ღირებულებების და, მათ შორის, ქრისტიანობის უგულებელყოფა იყო. ტრაგიკული ბედის მქონე პოეტი ვერ შეეგუა იმდროინდელ წყობას, ვერ დაიმკვიდრა შესაფერისი ადგილი. სიცოცხლის ბოლომდე ბუღალტერ-რევიზორად მუშაობდა, მისთვის შეუფერებელ დარგში. დროისაგან გარიყულს ხშირად იპყრობს სევდა:

„გინახავთ კაცი, საუკუნეს ხმითაც არ ჰგავდეს

და ყოველ დილით სისხლის ჭოჭი ღვაროს სახლიდან.“[სამადაშვილი ნ. 2004; 66]

ნ. სამადაშვილის აზროვნება და პოეზია ქრისტიანობითაა ნასაზრდოები. მისი პოეზია არა მწუხარე და პირქუში, არამედ ნათელია.

„გინახავთ კაცი, ტაძრის ზღურბლთან ლოცვებით მთვრალი

ყრმა მაცხოვრის ნაფეხურებს რო გაჰყოლია?“[სამადაშვილი ნ. 2004; 111]

ეს კაცია სწორედ პოეტი ნიკო სამადაშვილი, რომელსაც თავისი ცხოვრების საზრისად ქრისტეს მიერ გაკვალული გზა აურჩევია.

აქვე უნდა განვიხილოთ ლექსი, რომელიც პოეტმა ქართველი ხალხსითვის, ქრისტიანობისათვის გამორჩეულ ტაძარს, სვეტიცხოველს მიუძღვნა. სამადაშვილი სვეტიცხოველს საუკუნეთა „ბუდედ“ მიიჩნევს, სადაც „დროთა ხაფანგია დაგებული“. ქრისტიანები სწორედ აქ გალობდნენ და აქ დაფლეს ქრისტეს პერანგიც. აქ განისვენებს პატარა კახად წოდებული, ომებით დაღლილი ერეკელე II. ლექსის ამგვარ ჰარმონიას ერთგვარად უპირისპირდება შემდეგი სტრიქონი:

„სამშობლოს კალთა შემოახიეს,

ხატებს თხუპნიდნენ მურით, ნახშირით.“[სამადაშვილი ნ. 2004; 151]

სვეტიცხოვლის ტაძარი იყო ჩასაფრებული მეომარივით, რომელიც „სამხედრო გზაზე უყენებს დუშმანს.“ ამ ტაძარში თვით მაცხოვარი რეკავდა ზარებს.

ამის შემდეგ პოეტი იხსენებს იმ ებრაელს, რომელიც ქრისტეს ჯვარცმას იერუსალიმში დაესწრო. ეს ებრაელი ელიოზია.

„ის ებრაელი გოლგოთის მთაზე

ქრისტეს ჯვარცმასო როცა დაესწრო,

სვეტიცხოველმა ბევრი იტირა

და მტკვრის ნაპირზე მაშინ დაემხო.“[სამადაშვილინ. 2004; 152]

მოვლენების ერთგვარ გამთლიანებას და შეჯამებას წარმოადგენს ლექსის ბოლო სტროფი:

„მას აქეთაა არმაზის კერპი,

ჩუმად უცქერის კოდმანის კლდიდან,

სისხლით გასვრილი წარმართ ხელებით,

სვეტიცხოველის ლოცვებს კიკნიან.“ [სამადაშვილი ნ. 2004; 152]

„ამგვარი დასასრულით, ნიკო სამადაშვილს შესაძლოა იმის თქმა სურს, რომ არმაზის კერპი ცნობიერად არ დანგრეულა. და როგორც „წმინდა ნინოს ცხოვრებაშია“ აღნიშნული, „მისი ადგილი შეუძრავ არს“, რომ სისხლისმსმელი არმაზის ბუნების (გავიხსენოთ, რომ არმაზი ყრმათა სიცოცხლეს ითხოვდა მსხვერპლად) გამოვლენა ყოველ დროშია შესაძლებელი, მით უფრო, პოეტის თანადროულ, კომუნისტურ ეპოქაში.“[გონჯილაშვილი ნ. 2017; 171]

წარსულს ახლანდელი დრო ენაცვლება, დრო როცა ხატებს მურითა და ნახშირით თხუპნიან. „არმაზის კერპში“ არა მარტო წარსულის წარმართული კერპი იმალება, არამედ - ბოლშევიკური რეჟიმის წარმომადგენლები „სისხლით გასვრილი წარმართ ხელებით“.

„პოეტის ლოცვა“ - ეს ლექსი ჩვენ უკვე ვახსენეთ ზემოთ როცა, სამრეკლოს განვიხილავდით. ლექსი დახუნძლულია ქრისტიანული სახე-სიმბოლოებით. აქ შევხვდებით ღვთისმშობელს, რომელიც აკვანს ურწევს ყრმა იესოს. აქვეა ერთი სტროფი:

„მოხუცი მნათე ტაძრის უკან თვლემს და ჩითჩითებს,

თითქოს სამრეკლოს მწუხარებას შეუვერცხლია,

ბალახზე სცნობდა დილით ქრისტეს ფეხის ნაბიჯებს,

თურმე ქრისტესთვის ერთხელ თმებიც დაუბარცხნია.“[სამადაშვილი ნ. 2004; 185]

ამ ლექსს მოეპოვება უსათაურო ვარიანტი, სადაც ზემოთ მოყვანილი სტროფის პირველი ორი სტრიქონი უცვლელად მეორდება, ხოლო ბოლო ორი სტრიქონი შეცვლილია:

„ბალახზე სცნობდა ყოველ დილით ქრისტეს ნაფეხურს,

თურმე იმის წინ ნინოს თმებიც დაუბარცხნია.“ [სამადაშვილი ნ.2004; 266]

ტაძრის ეზოში ასწლოვანი ხეები ისევ ხარობენ, მაგრამ მოხუცი მნათე უკვე ვეღარ ცნობს ქრისტეს ნაფეხურებს ე.ი მაცხოვრის მიერ განვლილ, გაკვალულ გზას. თმების დავარცხნა ქრისტესთვის ან წმინდა ნინოსთვის, რაც ქრისტიანულ სარწმუნოებასთან ახლოს ყოფნას უნდა ნიშნავდეს, გამქრალია. თუმცა ამ ლექსში იმედი კიდევ არსებობს, რადგან ტრაპეზის უკან აკვნის რწევა ჯერ ისევ ისმის.

დასკვნა

ამრიგად, ზემოთ ჩატარებული კვლევა-ძიების საფუძველზე დგინდება, რომ ნიკო სამადაშვილის ფილოსოფიური პოეზია გამოირჩევა ინდივიდუალობით, ჭეშმარიტად იკავებს განსაკუთრებულ ადგილს XX საუკუნის ქართულ მწერლობაში.

სამეცნიერო ლიტერატურის, ბიბლიის წიგნების, ქართული თხზულებებისა და პოეტის შემოქმედებიდან მოხმობილი მაგალითების საფუძველზე შევეცადეთ გვეჩვენებინა ის სახე-

სიმბოლოები, რომლებიც მთელ ქართულ პოეზიას გასდევს, მაგრამ ნ. სამადაშვილის შემოქმედებაში ტრადიციულისაგან განსხვავებული ფორმით იჩენს თავს.

ლექსის „უკანასკნელი ქრისტიანების“ („ბეთანია“) განხილვის შედეგად ჩვენ ვნახეთ, რომ „ქრისტიანული ტრადიცია“ ნანგრევს წარმოადგენს, როგორც ფიზიკური ისე სულიერი თვალსაზრისით, ამიტომაც სამყაროში „დარჩენილი უკანასკნელი ქრისტიანებიც“ კი „უსინანულოდ ტოვებენ ტაძარს.“ ბეთანიის „ავადმყოფი მწირივით მთვლემარე“ ტაძარი სინანულის განცდას არ უტოვებს მომლოცველებს. ამ ლექსში ერთმანეთის გვერდითაა წარმოდგენილი ქრისტიანობა და წარმართობა, პოეტის „ბობოქარი ცხოვრების დასაწყისიც“.

ღვთისმშობლის სახე, როგორც ვნახეთ განსხვავდება ტრადიციული გაგებისაგან. პოეტმა იგი ჩვეულებრივ მიწიერ ადამიანადაც წარმოგვიდგინა. ღვთისმშობლის ამგვარად წარმოდგენით ნ. სამადაშვილმა გააცოცხლა მაცხოვრის ბავშვობა, რომლის შესახებაც მახარებლები არაფერს გვეუბნებიან.

რაც შეეხება მაცხოვრის სახეს ჩვენ ვნახეთ, რომ პოეტის აღქმით. მან მიატოვა თავისი სამწყსო. სამყაროს შემოქმედი ღმერთისა და ქრისტეს განსახოვნებისას ვრწმუნდებით, რომ რწმენის კრიზისი, უღმერთოდ დარჩენა აშკარად შესამჩნევია, რაც განპირობებული უნდა იყოს როგორც ნიცშეანური ფილოსოფიის გავლენით, აგრეთვე იმ ეპოქით, რომელშიც პოეტს მოუწია მოღვაწეობა.

სამრეკლოს სიჩუმე, „უხმობაც“ სწორედ საბჭოთა რეჟიმის დამოკიდებულებას უნდა გამოხატავდეს ქრისტიანული რელიგიისადმი. ამ სახე-სიმბოლოს ამგვარი ფორმით წარმოჩენა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, თუ რაოდენ მძიმე ეპოქას ირეკლავს სამადაშვილის პოეზია.

ზემოთ განხილულმა ლექსებმა („ბეთანია“, „ატენის სიონი,“ „პოეტის ლოცვა,“ „სიმღერები გამოქვაბულიდან,“ „სამრეკლო და გენია,“ „უკანასკნელი ზარების რეკა,“ „სვეტიცხოველი,“ „ისევ ვილოცებ, იქნებ ღმერთმა მაინც მიშველოს“, „ბაასი ბერთან,“ „დარდი ბუხართან...“) გვიჩვენა, რომ ნიკო სამადაშვილის, როგორც პოეტის დავიწყება

შეუძლებელია. არიან მწერლები და პოეტები, რომელთა შემოქმედებამაც შესაძლოა დროს ვერ გაუძლოს, მაგრამ მისი პოეზია ნამდვილად გაჰყვება „მარადისობისაკენ მიმავალ ბილიკებს“.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბზიანიძე ზ. „ნიკო სამადაშვილი“, „ფერისცვალება“, გამომცემლობა „ლიტერატურის მატიანე“, თბ. 2004; გვ: 522-528
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები 1992; გამომცემლობა „ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი“, სტოკჰოლმი; 1992; გვ: 3-683

3. ბერიძე ვ. ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია ტ. I თბ. 2014 გვ: 314-326

4. გამსახურდია კ. თხზულებანი ათ ტომად, ტ. I, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, გვ: 388-395

5. გონჯილაშვილი ნ. „სვეტი - ცხოველი და XX საუკუნის ქართული მწერლობა“, „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სამყაროს გააზრებისათვის“, გამომცემლობა „ბიბლიო“ თბ. 2017; გვ: 160-178

6. გურული გ. „საეკლესიო ზარის მნიშვნელობა და ისტორია“; საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია; თბ. 2006. გვ: 612-613

7. იაკობ ხუცესი „შუშანიკის წამება“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1982; გვ: 5-583

8. კიკნაძე ზ. „ცეცხლი და ბურუსი“, გამომცემლობა „მემკვიდრეობა“, თბ. 2015; გვ: 241-252

9. კიკნაძე ზ. „ქართლი გაქრისტიანების გზაზე“ , „ჯვარი ვაზისა“ თბ. 2017; №1. გვ: 171-175

10. კიკნაძე ზ. „მუდამ სინათლისკენ გამყივარი ძახილი“, „ფერისცვალება“, გამომცემლობა „ლიტერატურის მატიანე“, თბ. 2004; გვ: 514-517

11. ნიკოლეიშვილი ავ. „XX საუკუნის ქართული მწერლობა,“ გამომცემლობა „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ , 2002; გვ: 3-683

12. ნიშნიანიძე რ. „XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, გამომცემლობა „ლომისი“, თბ. 2000; გვ: 263-372

13. რობაქიძე გრ. პოეზია, პროზა, მინიატურები, ნოველები, მინიატურები, რომანები. წიგნი I; თბ. 2012

14. სამადაშვილი ნ. „ფერისცვალება“, გამომცემლობა „ლიტერატურის მატიანე“, თბ. 2004; გვ: 7-595

15. სამადაშვილი მზ. „უცნობი ნიკო სამადაშვილი“, გამომცემლობა „დიოგენე“, თბ. 2002; გვ: 3-133

16. სულაკაური ა. „ჟამი შეხვედრებისა და ჟამი განშორებისა“, „ფერისცვალება“, გამომცემლობა „ლიტერატურის მატიანე“, თბ. 2004; გვ: 495-501

17. ტაბიძე გ. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“; თბ. 1966.

18. სირაძე რ. „მოჰქონდა ჯვარი“ , „ესსეები და თარგმანები“ თბ. 2011; გვ: 54-63

19. ჩხენკელი თ. „კაცი და პოეტი“, „ფერისცვალება“, გამომცემლობა „ლიტერატურის მატიანე“, თბ. 2004; გვ: 502-513

20. ჯაფარიძე თ. „ღამისთევის პოეზია“, „ფერისცვალება“, გამომცემლობა „ლიტერატურის მატიანე“, თბ. 2004; გვ: 529-579

21. ხარანაული ბ. „სირცხვილის შემდეგ“, „მნათობი“, 1979; №7. გვ: 23-30

22. ხარანაული ბ. „100 ლექსი“, გამომცემლობა „ინტელექტი“ თბ. 2007; გვ: 3-158

23. http://galaktion.ge/?page=Poetry&year=-1&p=0&id=94

24. https://tdi.ge/ge/page/sabchoeti-da-religia

25. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%AE_%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%A8%E1%83%94

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The Faculty of Humanities

Masters's degree program: Georgian Literature

Abuladze Mzia

Creative images and symbols in Niko Samadashvili's poetry

(The Senior Thesis is delivered in order to take a master's degree)

Supervisor of the Thesis: Associate Professor Rusudan Nishnianidze

Tbilisi

2019

Annotation

Niko Samadashvili's poetry is one of the most renowned in XX century's Georgian literature. His poetry is multi-faceted and profound in content. Poet uses paganism, Christianity, mythology to express their own word, this everything are so close to each other and sometimes is difficult to understand what did want to say poet. Exactly this ambiguous, symbols, metaphors and allegories makes Samadashvili's handwriting originally.

In N. Samadashvili's poetry, except themes are important images. The aim of our research is to show the character of the Mother of God and Savior, how they are presented in poet's work. The issue is interesting in the sense that it is not properly studied. In addition, except this will discuss Betania as a sacral place. (According to the poem „Betania" by N. Samadashvili.) also we will discuss symbol of bell and bell-tower. Niko Samadashvili's perception is different from their traditional understanding.

Based on Bible books, Georgian compositions and scientific materials we have tried to find out the above-mentioned issues as far as possible.